


ლიტერატურული ჟურნალი



# ტექსტები ცხვათი



„რაც არ უნის, მა ვეძნი“  
რაცი ახალლობელი

მემო-მემება

„ჩახუმებულება, ჩონვარო,  
დარები ჩაგიშანდება!“

გასაუბრება ღვაწლი შინერაულობა  
და განუვითარებელობა

№ 1 2006



# ბერძნების მიერთი

ლიტერატურული ქურნალი

**მიერთი:**



მხატვრული წარილი

4



გასუბრთა

6

თამა-ზეპირსიცყვირა

10

შემო - ქვედება

16

თარგმანი

27




„ჩვენთან არს ღმართი!“

32

არქივი

36




შემოქალთა იუმორი

38

სტუდიების გამოკითხვა

39





პიმლიობითია



მე ვარ ცა... მე ვარ ზღვა... მე ვარ მიწა... დედა-მიწა... ნისლი...  
მე ვარ ფიქრი... მე ვარ ფიფქი... მე ვარ ნისლი-თეთრი ნისლი...  
მე ვარ დრო, თუ წამი, დროში-წამი, წუთში წამი, წამის წამის  
მე ვარ ცრემლი-სევდის ცრემლი...  
მე ვარ ცრემლი-სევდის ცრემლი...  
ვარ ოცნება-არ მაქვს ფრთხი... მე ვარ და რაც არ ვარ!...  
მე ვარ ის, რაც ვარ და რაც არ ვარ?  
მე ვარ შენ, შენ ხარ მე?  
მე ვარ ფერი, ერთი ფერი, ფერში-ღვენთი, ფერში-ცრემლი...  
მე ვარ უფალი, უფალი უფალი უფალი უფალი უფალი უფალი  
ვარ სანთული, არ ვარ ხატი, ხატი შენ ხარ, უფალი უფალი უფალი  
ვარ იუსტი, იუსტი იუსტი!

უფალი ხარ, იუსტი!  
გინდა გითხრა, მე ვინა ვარ?  
გინდა გითხრა, მე ვინა ვარ?  
მე ვარ წვეთი... წვეთი... წვეთი...  
მე ვარ მხოლოდ ზღვაში წვეთი...  
მე ვარ მხოლოდ ზღვაში წვეთი...

### ლეია სისაუჟი



ჩაიმალა ზღვაში წვეთი...  
ცრემლის დარი წვეთი...  
დაიმალა წვეთი...  
წვეთში წვეთი წვეთი...  
წვეთში წვეთის გადასვლა...  
წვეთში წვეთი...  
წვეთში დარი...  
ცრემლის დარი...  
გა მო ი და რა ა! ! !

### თამაჩ ბეგეშიძე



ზღვა დაიღვარა წვეთებად...  
გაიშალა, გადიდდა, გაფართოვდა ...მერე მიაღწია ჩემს გამჭვირვა-  
ლე მყუდროებამდეც. მე არა მაქვს უფლება, რომ ჩემი განწყობა იყოს  
უფერო და უგემური, რადგან მე უფრო ვმღერი, ვიდრე ვტირი, მე  
უფრო ველი, ვიდრე ვთვლი წარსულ დღეებს.

ზღვა კი დაიღვარა წვეთებად...

მოადგა ჩემს გამჭვირვალე მყუდროებას და მოიტანა სითბო, სი-  
ლალე, სინაზე...

სხვებსაც მოუტანა...

მოვიდა ზღვა და სიცოცხლე მოიტანა... ქარი მოიყვანა... მთები  
მოიტანა, თავად კი არა, წვეთებს გამოაყოლა.


მერე?

მე დავიღვარე ცრემლებად,

ზღვა თურმე წვეთებად...

**თამასი ცოციაშვილი**

მე ვარ წყლიდან აორთქლილი ღრუბლის დროებითი ბინადარი,  
წვიმად წამოსული, ზღვაში ჩავარდნილი და იქ დაკარგული,  
მე ვარ წვეთი, ერთი წვეთი, ანუ მე ვარ ზღვაში წვეთი!



### ანა ფხეიძე

მე მიყვარს ზღვა...  
ზღვა ლამაზია!...  
მე ფიქრის მწამს...  
ზღვა ცისფერია!...  
ვერ ვხედავ ზღვარს...  
ზღვა ნატიფია...  
არაფერია,  
ზღვაში წვეთი!



### ღიზი შალიბაშვილი

...ის კი დგას და ფიქრობს...  
გარშემო მხოლოდ ცა, ზღვა და მზეა... პატარა, ცელქი ტალღები ძალიან  
ფრთხილად ეთამაშებთან ნაპირს...

ის კი დგას და ფიქრობს...


ათასი გზაარეული აზრია მასში. ისინი ქაოსურად მოძრაობენ და ეხეთ-  
ქებიან გაყინულ ლოდებს...

მზე ნელ-ნელა შორდება მას და დიდ, ღრმა ზღვაში იწყებს ჩასვლას.

ის კი დგას, უყურებს ამ ყველაფერს და გრძნობს, რომ ცოტაც და  
სრულიად მარტო დარჩება...

დგას... უყურებს... ფიქრობს... ტირის...

ვაშაა!



წკაპ, წკაპ, წკაპ...

და მიხვდა — მთავარია გწამდეს, გიყვარდეს, გვეროდეს!

სხვა დანარჩენი კი ზღვაში წვეთია!..

### მაკა ელიბაშვილი

რაც ჩვენ გვინდა, ზღვაში წვეთია,  
მაგრამ ჩვენია, ჩვენში ღმერთია...  
რასაც ვაკეთებთ—ეს უკვე ზღვაა, აღვსილი ჩვენით.  
მიწაზე...  
და ჩვენს ფიქრებს, აზრებს და ფერებს მივცეთ სამოსი, თქვენი  
დალოცვით.



თამარ ბეგეშიძე

## გავტყოლით და არასტრონოს მოვილუნებით!

„მაგრამ რა არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი, როგორც პოეტის შთაგონებით დასწეულები.“  
ტიციანი

მართლაცდა სნეული იყო იგი! სნეული იყო ლექსით, სიმღერით, სიცოცხლით და სიყვარულით. სნეული იყო პოეზიით, მაგრამ ეს ტანჯვა კი არ ამძიმებდა, პირიქით, ამშეკნიერებდა და ამაღლებდა პაოლოს,

პაოლოს ...

მართლაცდა სნეული იყო იგი... პაოლო იაშვილი 1891 წლის 29 ივნისს დაიბადა სოფელ არგვეთში. მამა—ჯიბრიალი, დედა—ბაბილინია, 4 ძმა და პავლე არც ისე პატარა, ტრადიციული ოჯახი, ბედნიერი ბავშვობა და ნათელი წლები, მთელი ცხოვრება რომ გამახსოვრდება.

პაოლო...

მერე ქეთასის კლასიკერი ვიმნაზია, იქ კი... სწორედ იქ ვაიცნო მომავალი „ცისფერყანწელები“ — ადამიანები, რომლებიც ნაწილი

გახდნენ მისი ცხოვრებისა; ტიციან ტაბიქე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე და სხვანი და სხვანი.

უკვე წერდა, წერდა ფრთუბგაშლილი, აღელვებული, აშლილი, სულაფლრიაჭებული, ხატავდა კიდევ მაშნევე შეამჩნიებ.

ოჰო...

გიმნაზიაში რედაქტორული მისწრაფებანი გამოაქვთანა და გაზეთიც გამოუშვა — „Стрепы Колхиды“.

მერე მისმა მართალმა ხასიათმა ერთ-ერთი პედაგოგის უდირსი საქციელი ვერ მოითმინა და სიმართლე პირში მიახალა გარიცხეს კიდევ გიმნაზიიდან. მერე ანაპის გიმნაზია და მერე...

მერე გაშალა თეთრი აფრები...

პაოლომ...

წამოიდა პოეზიის გზაზე ლადი და ამაყი, მსუბუქი და ოცნებებით სავსე; გამოიყოლა „ცისფერყანწელები“. „ლექსის ნიაღვრად“ მოვლენენ საქართველოს, ააღლევეს ადამიანებში ის შინაგანი, სული რომ ჰქია.

1913 წელს პარიზში გაეტაზვრა, რათა რაღაცით მაინც მიახლოებოდა თავის სათაფვანებელ პოეტებს: არტერ რემბრანდ, შარლ ბოდლერს, სტეფანე მალარმეს, ლოტრემონს. სწორედ ამ დროს დაირქვა პაოლო (მანამადე ხომ პავლე ერქვა)

სწორედ პაოლო...

დაბრუნდა და გადადგა მეგობრებთან ერთად პირველი ნაბიჯები. 1916 წელს ქეთისში ჟურნალი „ცის-



ფერი ყანწები“ გამოსცეს. გამოვიდა სულ რაღაც ორი ნომერი, მაგრამ ამ ჟურნალში პაოლოსა და მისი მეგობრების სული იდო. ეს იცოდა ქართველმა ხალხმა, ამიტომაც შეიცვარა სიმბოლიზმი.

და თბილისი... თბილისი... ოთვორ უკარდა ეს დიდი ქალაქი თავისი ხმაურით და აურზაურით, თავისი კარგითა და ცედით. აქ თქვა:

„მინდა, ხიტყვის თარუში  
ჩემი უველამ ნახოს.“

განა გვრ ხდავდნენ? ხდავდნენ, პატივს სცემდნენ, უკვარდათ. პაოლო ნათელი სხივი იყო მკალებან, პაოლო სიცოცხლე იყო უკალებან.

გრიბოედოვის ქეხაზე სეირნობა უყვარდა ძლიერ. რუსთაველის პროსპექტზე ჩამავალი ბილიკის თაფში იკრიბებოდნენ პოეტები და კოსტეულობდნენ ხოლმე ლექსებს, პაოლო ყველაზე ხმამაღლა. ხოლო თუკი რომელიმე ადგილობრივი მცხოვრები გაბრაზებით შენიშვნას მისცემდა, იგი მშებდად, დიმილით უასეუხებდა: ექსპერიმენტებს ვაგრაუებთ.

უკვარდა ღიმილი,

პაოლოს...

მაღალი იყო, საკმაოდ ლამაზიცარუეზათმიანი, შავგვრემანი. კველის „უკვარდა, თავადაც უკვარდა უკელა, განსაკუთრებით მეცობრები. ნინო ტაბიქეს რომ გაეცნო, წინასწარ გააფრთხილა: იცოდე, მეცობრისაში ავთანდილობა შემიძლიაო განა ტყეოდა, მართლა შეეძლო.

გერინგი ქიქოძე იგონებს: „მახსოვეს, როგორ იდგა ერთხელ ქეხაზე, სახლის კედელს ზურგმიყრდნობილი, ხალათის ჯიბიდან მუქა — მუქა ახალმიღებულ ქადაღლის ფერს იდებდა და თავის მეცობრებს აძლევდა დაუკოლებოდ. თვითონ კი მუდამ უფერობას განიცდიდა. მას ძალიან სუსტი წარმოდგენა ჰქინდა ორმაგ ბუდალტერიაზე და მისი გასავალი ყოველთვის სტარბობდა მის შემოსავალს. მას ეადვილებოდა ფერის შოგნა, მაგრამ კიდევ უფრო გადვილებოდა ფერის დახარჯვა: უფრო ის ახსოვდა, ვისგან იხსეხა, ვიდრე ის, ვის ასესხა.“

შალვა აფხაზი კი ამას ამბობს: „პაოლო ღრმა გულის პატრონი იყო. იცოდა სიყვარული და მეგობრების უდევლის გაწევა; მასავით უკვარდა ტიციანი. მათ „სიამის ტყებებს“ ვეძახდით. მის გულში დიდი

ჭდგილი ჰქონდა დათმობილი კოლაუ ნადირაძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს...” სწორედ ამ სიყვარულით, ამ მეტობრული სითბოთი არის გადაწყვეტილი მისი ლექსები, რომლებიც მათ უძღვნა.

პო, მართლაცდა სხეული იყო იგო...

სხეული იყო თავისი გრძნობებით და განცდებით. განიცდიდა ყველა გარშემომყოფს, ყველა ცოცხალს. გულს უკლავდა ხელგაწვდილი ადამიანის დანახვა. წერს კიდევ:

„თბილისში ბევრი გულისდამზე უკლავდი მათხოვარია. მე მყავს მათ შორის ნაცნობები. მათთან შეხვედრა მახარებს; როდესაც მოვრალი ვარ, მიყვარს მათთან საუბარი. თუ ფული არა მაქვს, ვსესხულობ და მათ ვწუქნი.

ერთ სადამოს ბრძანა ახალგაზრდა მათხოვარს მე შევუბროვ ფული ამნაირად: მოვიხადე ჭუდი და ვინახდი (ფართოვარფლებიან ჭუდს აჩარებდა):

„აჩექეთ ხელმოკლე პოეტს კვარტი დაზინისათვის, მე მოელი ქალაქი მიცნობს—ბევრმა მაჩუქა”

ჟყავდა გამორჩეულად საყვარელიც მათხოვრებს შორის — ლეონტი კანერგა. მის შესახებ წერს „ფერდ ბუშტებში”...

მართლაც და სხეული იყო იგო...

იშლებოდა და იშლებოდა აფრები თეთრი... -

ხშირად იკრიბებოდნენ შეგვიპრები ერთმანეთთან სახლში. პაოლო ყველგან პირველი იყო, თამადა იყო. იყო იმპრევიზატორი და საოცრად მჭევრმეტყველი, ცოტა უცნაურიც, ყველა უცნაურობის მოთავე ის იყო ხოლმე.

ერთხელ პაოლო, ტიციანი და ნინო ტაბიძე ქუჩაში გამოვიდნენ სასეიონოდ. ფული არ ჰქონდათ, რომ სადმე შესულიყვნენ. პაოლომ ცხელი ქართული პერი და მეავე კიტრი იყიდა. შეუ პროსპექტზე შეექცნენ ვახშამს გემრიყლად, ისხნენ ასე მოელი დამჭ კითხულობდნენ ლექსებს, ესმენდნენ ერთმანეთს. გაკვირვებულ გამტვლელთაგან ზოგიერთი შეხერდებოდა და უსმენდა. უბრალოდ პოეზიით იყნენ შეაყრობილნი.

პოეზიით სხეული იყო პაოლოც!

„უსამართლობა გულს უდრიდნიდა. ვერ ითმენდა და არ შეეძლო, პროტეხტი არ გამოიყენა. რევოლუციის პირველ წლებში, ქუთასში სრული ანარქიის დროს, ქებებში მეტობებთან ერთად დარბოდა და გაიძახოდა: „პათ ბურჯუებს, პათ სპეციალიტებს”. შემდგომში ამ გამოსვლებმა მწვავე ხასიათი მიიღო.

თარგმნიდა ბევრს.

თარგმნიდა იმ პოეტებს, რომელთა შესახებაც გარაცხით შექმლო ლაპარაკი. „უარყოფდა დანჩენა და შექსპირს, უყვარდა პუშკინი და რემბო.

„უცნაური იყო პაოლოს ხედვა, განხაგუთრებით კი დარანებული ლექსები. პო, სწორედ ის ლექსები, რომლებიც „ლენე დარიანს“ ექვთვნოდა. ეს ქალი პაოლოს ლირიკული გმირი და მისგან სრულიად განსხვავებული ლექსების ავტორი იყო. პოეტ სარბიელზე ის 1915 წელს გამოჩნდა. ვინ იცის, რა იყო ეს პაოლოსთვის?...

მართლაც, ვინ იცის!...

უყვარდა ოჯახი.

ნინო ტაბიძე თავის მოგონებებში გულთბილად საუბრობს შეეფარგლებულ პაოლოზე, ერთი „მსეუნახავაზ“, ქალიშვილი რომ შეცვარებოდა:

„ერთხელ ხელოგნების სახლის თავზე მელიტონ ბალანჩივაძესთან ერთად ვიჯექი. იმ დროს პაოლო

შემოვიდა—მადალი, ლამაზი, მხიარული, თან ჰეროვანი, ფაფუქი, დიდებული, გამლილთმებიანი ქალიშვილი შემოკვეთა მართლაც მზეთუნახავი გახლდათ. პარლარზე გვერდით ბელურ გეგმნებოდათ, მაშინვე შემუწოდა.

მალე პაოლომ თამარ სერებრიაკოვა ცოლად შეირთო...

და ადარ იცოდნენ, რა ექნათ თეთრ აფრებს...

პაოლო, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ოდნავ ნაღვლიანი თვალებით აკვირდებოდა ცხოვრებას. ხელავდა ცუდს, მაგრამ საყვარელ ადამიანებმდე არ უშევებდა მას. აფთარივით ედგა მეგობრებს წინ. აიგანდა ყველაფრენს. იცოდა ეს და უკან არ იხევდა. უბრალოდ, შეექლო სიყვარული!

მართლაც სხეული იყო იგო...

მერე...

მერე უცირად შეიცვალა ყველაფერი... მერე თითქოსდა აირია ყველაფერი. უსამართლობა ვერ აიტანა მართალმა სულმა.

„ეს ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ჭალებით განათებული დარბაზები, ტაშებით ახმაურებული აუდიტორია, ბრწყინვალე ბანკებები და არტისტული ფავანები უყვარდა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს ძალიან განმარტოვდა. 1937 წლის ზაფხულში ის ხშირად თავისი ბინის ლოჯიაში ჯდებოდა ჯაფარიძის ქუჩაზე და სევდიანად გასცემროდა გოლგოთის მთას. ხანდახან ბოტანიკურ ბაღში ადიოდა და ცდილობდა, აფორიაქებული სული და ეფშოშმინგებინა თითქმის დამშრალი ჩანჩქერის პირას.“ (გ. ქიქოძე)

შენელდა თეთრი აფრების ქროლვა...

„თეთრ რაინდს“, უწოდებდა გრიგოლ რობაქიძე,

„სიამის ტყებს“ – ტიციანი.

უყვარდათ იმიტომ, რომ უყვარდა ყველა და იმიტომ, რომ სხეული იყო პოეზიით.

მერე...

მერე ცილისწამება...

მერე პაოლო იაშვილის უკანასკნელი დღე, 1937 წელი.

საღამოა, მწერალთა კაშშირში ბელიაშვილის საქმეს განიხილავენ, სტალინის აუგად მოხსენიება ბრალება, უარყოფა – არ უჯერებენ. პაოლო იჯდა ერთხან, ეწერდა. მერე ადგა და უხმოდ გავიდა. მალევე გაისმა სროლის ხმა და ქალის კივილი.

... განერებულიყვნენ თეთრი აფრები...

„კედელთან ადამიანი იყო ჩამხობილი, კეფიდან სისხლი მოწვეთავდა, თოფის ლული პირში ჰქონდა განსაკუთრებული...“ (სერგო კლდიაშვილი).

რატომ?

რისთვის?

არავის დაპარადებია ეს კითხვა.

მერე გაისხენა, იღიასადმი მიღდვინილ ერთ-ერთ წერილში რომ წერდა: „საქართველოში თვითმეტვლები და მკედველობა როიკე ბუნებრივი ხევდრია პოეზიათვის.“

ბუნებრივი ხევდრი იყო კი მისთვის ეს?

... განერებულიყვნენ თეთრი აფრები...

... მაგრამ არსებობენ კი ქვეყნად თეთრი აფრები?

– ... ალბათ!

სთხოვეს ტიციანს, პაოლოს საქციელი დაეგმო, სხვებსაც სთხოვეს ... მაგრამ:


„სხვა მუცობრებმა და პოუჩებმა გვადარა ალმასს, ვიცი, გაგტყდებით და არასოდეს მოვიღუნებით.“

და არასოდეს მოვიღუნებით....

თამარ გეგეშიძე  
თათია ლაპაშაძე

## „რაც არ არის, მა ვქმნი“

რატი ამაღლობელი



ამქვეყნად ბევრი რამ არის. არის ხე და არის მთა, არის ცა და არის ჩიტი, არის დღე და დაქმე, არის „მე“ და არის „შენ“. არის ერთი პოეტი-რატი, რომლის პოეზიაშიც ბევრი რამ არის. არის ბევრი ზმნა და არსებითოვებიც ბევრია, არის გუა და არის „ანი“, „ბანიცი“ არის, არის სული და არის სხეული. ვარ „მე“, „შენც“ ხარ. დო, რე, მი-ც არის.

რამდენი რამაა ამქვეყნად... რაც არ არის, ისიც არის, იმიტომ, რომ არის ადამიანი, რომელსაც არ ყოფინის „ქმნილის ქონა“; ამიტომ გზიუქნის „ჩვენსავ თავს“. მუდმივად გვქმნის და გზიუქნის ლექსებით, სიტყვებით, ზმნებით, კავშირებითაც კი...

ჩვენ ვესაუბრეთ ამ ადამიანს და ვეცადეთ გაგვეოთ სულ მცირედი მაინც იმის შესახებ, თუ როგორ ქმნის იგი თავის სამყაროს(თავის პოეზიას), რომლითაც ესოდენ საინტერესო და მიმზიდველია ჩვენთვის:

— როდის დაიბადა რატი ამაღლობელი როგორც პოეტი?

ნამდვილად არ ვიცი, იმიტომ რომ ლექსების წერა არ ნიშნავს იმას, რომ დაგიბადე როგორც

პოეტი. არა იმიტომ, რომ ზედმეტად „ვთავმდაბლობ“ ან „ვთავმაღლობ“, უბრალოდ არ ვიცი. თუმცა არის რადაც გარკვეული განცდები, რომლებიც მახსოვეს, როდის დავაფიქსირე ჩემში პირველად. მაშინ თექვსმეტი წლის ვიყავი, გწერდი ლექსს „შეხევდრა მქორედ“. სწორედ ამ დროს მიგხვდი, რომ წერა მეტად მნიშვნელოვანი რამაა ჩემთვის, აქ აღმოვაჩინე ის განცდები, რომლებიც მიყვარს წერის დროს. ეს არის რადაც მნიშვნელოვანი ადრენალინი, ყოფითი ენით რომ ვთქვათ. ამიტომ იმეორებ და იმეორებ ამ წერის პროცესს და არა იმიტომ, რომ უბრალოდ რადაცას ხედავ და წერა გინდა, თუ ამას ჰქინია დაბადება...

— რით არის რატი ამაღლობელი ქმაყოფილი და რით არა?

— ვარ საკუთარი თავით ქმაყოფილი და უქმაყოფილოც. პროცენტულად რომ ვთქვათ ასე-50/50.

— ამქვეყნად ყველაზე მეტად რა ან ვინ გიყვართ?

— ჩვენ ყველას ჩვენი თავი გვიყვარს. რაც არ უნდა მოვიგონოთ, რომ გვიყვარს ის, ეს მაინც არ იქნება მართალი. შენ ხარ ობიექტიც და სუბიექტიც, რომლის გარეშეც სიყვარული არ შედგება. მარტო შეიძლია ისეთი ცნება, რომელიც საკუთარ თავზე მაღლა შეიძლება დააყენო, იმიტომ რომ საკუთარი თავიც არის და დამოუკიდებელი არსებაც.

— თქვენი ოჯახის შესახებ რას გვეტყვით?

— უპირველესად, ალბათ, იმას ვიტყოდი, რომ ოჯახი არ არის მექანიზმი. მე ჩემს მეუღლესთან არა მაქვს იმის ყოველდღიური განცდა, რომ ჩვენ ვართ ცოლ-ქმარი. ყოველდღიურად ჩვენ გვაქვს შეგობრობა. ოჯახი ეს ის ყველაზე ახლობელი ადამიანია, რომელთან ერთადაც ატარებ უმეტეს დროს, გიშევს მასთან ერთად ჩაის დალევა, საუბარი, ფიჭრიც კი. მარტო რომ არ აკეთებ რადაცას, ეს არის ოჯახი. ამიტომ ჩემთვის ეს არ არის ერთგვარ კრიტერიუმში ჩასმული ცნება, არ არის რუტინა. ოჯახი მყუდროება. როცა ურთიერთობებზე მეტია სახელი „ოჯახი“, მაშინ გვკარნახობს იგი ურთიერთობათა ქცევების წესს. სახლში მე მივდივარ იმიტომ, რომ მინდა და არა იმიტომ, რომ უნდა მივიდე, რადგან ოჯახია ასეთი.

— ახლა თქვენს შემოქმედებაზე ვისაუბროთ. რას განიცდით, როცა რადაცას ქმნით?

— ძნელია ამის ახსნა, თავად ეს პროცესია ყველაფერი. შეიძლება შევადაროთ იმ გრძნობას, როცა კარგ მუსიკას უსმენ, თუმცა გააჩნია... ვერ გადმოვცემ...

— აქვს თუ არა მნიშვნელობა გარემოს, როცა წერთ?

— აუცილებელი არ არის, რომ მარტო ვიყო, თუმცა ძალიან ხმაურიც არ უნდა იყოს გარშემო და ყველ წამს ტელევიზონმა არ უნდა რეკოს.

— ლექსს ერთი ხელის მოსმით წერთ, თუ მუშაობთ მასზე?

— არის ლექსები, რომლებზეც მთელი კვირა მიმუშავია. ზოგ ლექსს უცებ ვწერ, მაგრამ წერის დროს მე თუ არ დავინახე ასე თორმეტი ბწვარი მაინც, სივრცე, განათება, ადგილი, დრო, სახეები, რომლებზეც ვწერ, ლექსი არ შეიქმნება. თორმეტი ბწვარი ბწვარებში დანახული ატმოსფერო აუცილებელია, რომ პირველი ბწვარი დაიწეროს. ეს ახლა, ადრე ყველაფერი სხვაგვარად იყო. წინასწარ არ ვიცი ხოლმე, რას დავწერ, მაგრამ ვიცი დაახლოებით კოორდინატთა სისტემის დონეზე. აი, მაგალითად: არის ტყე და იცი, რომ იქ სადღაც, სიღრმეში წყაროა. გვაქს რუკა და წყარომდე უნდა მიხვიდე. მისვლა კი არ არის მიზანი, არმედ წყარომდე გადადგმული ყოველი ნაბიჯი წარმოადგენს შენს წყარომდე მისვლის მიზანს. იქ, გზაში უამრავი რამ მოხდება. სადღაც ჩიტი გამოფრინდება, იქ ხეებს შორის ნისლი გამოჩნდება, იქ მზე ჩავა... არ არის აუცილებელი, ყველაფერი იცოდე, რაც ამ გზაზე მოხდება, მაგრამ უნდა იცოდე, რომ წყაროსთან მიდიხარ.

— გაქვთ იმის შეგრძნება, რომ პოეტი ხართ? გრძნობთ თუ არა რაიმე განსხვავებას?

— ვერ გეტყვი. რასაკვირველია, ალბათ რადაცით განსხვავებული ვიქნები, მაგრამ მე ეს იდენტიფიკაცია დამახიჯებულად მეჩვენება. ალბათ, მეტი დრო მეხარჯება სხვა რაღაცებზე დაკვირვებისას. არ ხდება ისე, თითქოს შინაგანად გამუდმებით ვერძნობდე, რომ პოეტი ვარ და ამით ვამაყობდე.

— რომელი პოეტები უყვარს რატი ამარღლობელს?

— ბევრი, რა თქმა უნდა, თუმცა ახლა ბროდსეკით ვარ გატაცებული. ეს არის რუსი პოეტი, რომელიც ამერიკაში მოღვაწეობდა, 1995 წელს გარდაიცვალა. ძალიან დიდი პოეტია. გალაქტიონის შემდეგ ასეთი შთაბეჭდილება არცერთ პოეტს არ მოუხდენია. საერთოდ, ჩვენ — ადამიანები ისა ვართ, რასაც ვკითხულობთ, რა ინფორმაციასაც ვფლობთ, ამიტომ პოეტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელ პოეტებს კითხულობს. იგი სერიოზული განმსაზღვრელია ამ მხრივ. აქ საუბარია არა მიბაძვაზე, არამედ შეგრძნებების ორგანოების გავლენაზე.

— ანუ არსებობს გავლენა სხვა პოეტებისა? და თქვენ ხომ არ გიგრძნიათ ეს გავლენა ოდესებ?

— ჩამოყალიბებულ ავტორს გავლენა არ აქვს. მას აქვს დიალოგი. გავლენა კიდევ სხვა რამება. საერთოდ ახლა ძალიან ინტერტექსტუალურია თანამედროვე ხელოვნება. ჩვენამდე უამრავი ტექსტია დაწერილი, იმხელა არქივია თითქმის ყველა თემაზე და ყველაფერი გენიალურადა. თანამედროვე ხელოვნება არის ამ ტექსტებს შორის რაღაცების აღმოჩენა. მე არ მაქვს პრეტენზია, რომ რაღაც

აბსოლუტურად ახალსა და ორიგინალურს შევქმნა. მე მაქვს სურვილი, წავიკითხო ის ლიტერატურული ტექსტები და ლანდშაფტები, რომელთაგანც უკავშირდება შექმნილია. მათში აღმოვაჩინო რაღაც ახალი. ანუ წერა არის კითხვა, აქამდე დაწერილის ამოკითხვა. თანამედროვე მწერლობა ამ ტექსტში უფრო ღრმად შესვლაა, მათში უფრო ღრმად ხეტიალია.

— თქვენს წიგნებზე გაითხავთ „ზმა“ და „თუ“: რატომ ჰქვია მათ ასე?

— მე ძალიან მიყვარს ზმა. მოგეხსენებათ, როგორია ის; თავისუფლად შეუძლია სამივე დროში გადაადგილება, არამატერიალური ქსოვილისგანაა შექმნილი, ხელით შეუსტებელია, ძალიან დინამიურია და დენადი. მე მიყვარს ყველაფერი მოძრაობაში. ზმა ენაში შემასტენელი ხდება და ყველაფერს თავის არსს და ამბავს შეასმენს. მნიშვნელოვანი მოვლენაა ზმაში. ზმა ენაში შემასტენელი ხდება და ყველაფერს თავის არსს და ამბავს შეასმენს. მნიშვნელოვანი სამყაროს არსებობას მე ვხვდები ზმნებით. ღმერთმა ექვს დღეში შექმნა არსებითების სამყარო-ხეები, ჩიტები, ტყეები, მაგრამ რაც ქმნიდა, ესენი იყვნენ ზმნები. თავიდან არსებობდნენ სიტყვები. თუ სიტყვა ქმნიდა, მაშინ ჩემს ონტოლოგიაში, ანუ შესაჭმეში, ასეთი დაყოფა მოხდა — ზმნები და არსებითები.

— „თუ“ ეს მუდმივი შესაძლებლობაა, ეს თუ... ის თუ... — არჩევანიცაა. რუსულში მას ორი გაგება აქვს, „и то“ და „но и“. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს.

პოეტური „თუ“ ყველა შესაძლებელს ანუ გაქვავებულს, არადინამიურს, არსებულს მუდმივ კითხვას უსვამს, მუდმივ არჩევანში მოჟყავს. „თუ“ მოგიწოდებს, შესაძლებლობის სამყაროს დაუკვირდე და არა არსებულს.



— რატი, რომელი საუკუნის ადამიანი ხართ?

უფრთ ძველ დროში ხომ არ იცხოვრებდით?

— მიფიქრია ამაზე, სადღაც შეიძლება ეს მო-

გინდეს კიდეც, მაგრამ მე იმ დროისა ვარ, რომელ-

შიც ვცხოვრობ და კარგადაც ვარ.

— თქვენი აზრით, როგორ ვითარდება პოეზია

თანამედროვე საქართველოში?

— მოდი, ამაზე ცოტა ხუმრობით ვიპასუხებთ—ამ

ბოლო დროს კარგი ლექსები დავწერე და ამიტომ

ვთვლი, რომ კარგად ვითარდება.

— რას ურჩევდით დამწყებ პოეტებს, რომლებიც

პოეზიის ასპარეზზე ჯერ არ გამოსულან?

— კითხვას, კითხვას და კითხვას! იმიტომ, რომ

დღეს წარმოუდგენელია იყო ნიჭიერი პოეტი და არ

იყო ერუდიტი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ეს ადარ არის ეპოქა, როცა მხოლოდ პირადი ცხოვ-

რების ტკიილები განსაზღვრავდნენ დიდ პოეზიას,

მაგრამ, რა თქმა უნდა, უმაგისოდაც არაფერი გამო-

ვა.

— თქვენი აზრით, რა ღირს კულტურა და რა

გვიჯდება უკულტურობა?

— თუ გავიხსენებთ იმ დროს, თუ როგორ მოვე-

დით აქამდე და გავიხსენებთ ირგვლივ ყველას, კონკრეტულად არავის და ზოგადად ყველას, მაშინ ვიტყვია, რომ ვული ჯდებოდა გაუნათლებლირბა, დაკლომის აღება, სამსახურში მოწყობა. შესაბამის სად, მივიღეთ საზოგადოება, რომელიც სუდ სხვა ფასეულობებზე იყო ორიენტირებული. პროფესიონალიზმის პრობლემა დღესაც დგას. ყველაზე დიდი კაპიტალდაბანდება სახელმწიფოს არის განათლება. არაფერი გვიშველის, თუ არ არის ინტელექტუალური რესურსი. ინტელექტუალური იარა-დით აღჭურვილ საზოგადოებას კი ნებისმიერი საოცრებების მოხდენა შეუძლია. დიდი იმედი მაქეს, რომ ჩვენი საზოგადოება ამ ორიენტირს აიღებს, რადგან ეს არ არის მოდა, ეს არ არის პოზა, ეს არის აუცილებლობა, ის, რაც ადამიანს ადამიანად ხდის.

— დაბოლოს, რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, ადამიანებმა, რომ გავხდეთ ერთი წვეთით მეტნი?

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა წვეთში შეიძლება იყოს ზღვა, მაშინ ერთად უნდა ვიყოთ, იმიტომ, რომ, ყველანი წვეთები ვართ, ერთად კი-ზღვა!



წვეთი ზღვა არი, ზღვაში წვეთი  
დმიტროში მთლიანი  
სუნთქმას კაცი და კაცში დმერთი —  
ადამიანი.

თუმც განუწვევებლივ ბეწვზე კიდია  
მართალი არი,  
მაინც საკუთარ თავზე დიდია —  
უკიდეგანო ზღვის სიმშვიდეა  
ადამიანი.

ამ კიდის იქით კიდევ კიდება  
სადაც ხმიანებს —  
ადამიანი არის იდეა;  
სხვა სიდიდეა  
ადამიანი.

## რატი ამალლობელი



როდესაც კრთიხარ და შენი ერთი  
კვირის ხელებით პოულობ სივრცეს-  
მე ვიცი, მართლა არსებობს ღმერთი,  
რომელიც გიცავს, რომელიც გირჩევს  
სიზმრების ლოგინს და შენი გულის  
ფეთქვაში ცხოვრობს, თითქოს მიწიდან  
აფრენილ მტრედის თბილი ღუდუნის  
ხმებს გამოსცემდე და სული წმინდა  
შენს სახეს ძერწავს გასული წლიდან.  
შენა ხარ ჩემი გულიგით ჩვილი  
და მეც პირველად ეს სიტყვა-შვილი  
მიგხვდი, რას ნიშანვს, შესაბამისად  
ჩემში ვატარებ განცდას მამისას.  
ამგვარად ყველა ბგერა თუ სიტყვა,  
რაც კი რამ ქვეყნად ოდესმე იოქვა  
დასაბამიდან და იმის წინათ  
დაიწყებს შენში გარკვეულ წილად  
ცხოვრებას, სუნთქვას, ფარულ საუბარს  
გააბამს შენთან და მოძრაობას  
შეგნიდან გარეთ, გარედან შიგნით  
მიმართავს ფიქრის სახით თუ წიგნით,  
შთაბეჭდილებით, სიზმრით, ასევე  
სავნებში ჰერეტით, რაღან სავსეა  
სამყარო სიტყვით და ეს სიტყვები  
შენა ხარ თავად, დაეკითხები  
სიტყვებს თავისი თავის შესახებ,  
სიტყვებს გააღუბ, სიტყვებს შეაღუბ  
სიკვდილ-სიცოცხლის კარიბჭის მსგავსად,  
ერთმანეთისგან გაარჩევ ფასადს,  
ფორმას, შინაარსს, გარეს და შინას,  
ყოველ მცხნარეს, თუ როგორ ფშინაგს,  
ცხოველს შეიგრძნობ, ჩიტის გალობა  
იქნება შენთვის ერთიანობა  
სიტყვების მიღმა არსებულ სულის,  
ვინმეს ან რამეს, რომ არ ჰგავს სულაც,  
ის არის როგორც შეგრძნება, სუნთქვა,  
რომელიც სიტყვებს ვერ გამოუთქვამო  
ისვევ, როგორც ერთი შესეღვით  
შენს უმნიშვნელო ხელის ცეცხაბას,  
უმიზნო მზერას, სივრცის მექქარს  
პირდაპირ გეტყვი, რაც შეეხება  
შენს ამ ქმედებას, სულ რომ მოველი,  
აქვს მნიშვნელობა განუზომელი,  
რადგანაც მიგხვდი, რას ნიშანვს მე და  
რას ნიშანვს მამა. რას ნიშანვს შენთან  
ყოფნა და მერე შენში შეგრძნება,  
შენს ჭურჭელს სული როგორ ეძლევა,  
როდესაც კრთიხარ და შენი ერთი  
კვირის ხელებით პოულობ სივრცეს,  
მე ვიცი, მართლა არსებობს ღმერთი  
და გულში გიცემს.

## რატი ამაღლობელი

## „ჩარემაზულებარ, ჩონგურო, ლარები ჩაგიხანგლება!“

ეს სიტყვები ცნობილ ხალხურ მელექსეს ივანე წიკლაურს ეკუთვნის; მასზე და არა მარტო მასზე ბატონში ვახუშტი კოტეტიშვილმა და ბატონში ლექსო ჭინჭარაულმა გვიამბეს. გვითხრეს, თუ როგორი აღტერინებითა და მდელვარებით იწერებოდა (და იწერება) ქართული ხალხური ლექსები და როგორი სიფაქიზითა და სინაზით ექცევა მას ლოტერატურა. ხალხურობა ეს არის ის, საიდანაც მოვდივარო ჩვენ, ისიც, რასაც ჩვენ ხშირად ვიგიზებთ, ისიც, რასაც ჩვენ გაარგავთ ან ვინარჩუნებთ, ისიც, რისი მოსმენაც თვალზე ცრემლის გარეშე არ შეგვიძლია.

ზეპირსიტყვიერება „მინჩეულია ფოლკლორული ტექსტის გავრცელების ერთადერთ გზად, რაც, ამ თეორიის მიმდევართა აზრით, განპირობებულია ფოლკლორულ პროცესში მონაწილე მასების წერა – კითხვის არცოდნით, ეს ამავე დროს არის მიზეზი, სხვადასხვა ვარიანტის წარმოქმნისა, ვინაიდან ტექსტის მოსმენასა და მის გამეორებას შორის წერილობითი ფიქსაცია არ არსებობს“ (ვახუშტი კოტეტიშვილი, „ფოლკლორული პარადოქსი“).

ზეპირსიტყვიერება – ზეპირად შეტყველება ანუ ის, რასაც ჩვენ ხმამაღლა ვამბობთ, სხვის გასაგონად ვამბობთ, რაც ცოცხალია, დინამიკურია.


ზეპირსიტყვიერება – გადაცემა აზრებისა, იღებისა, ფიქტებისა, საუბრებისა; მამიდან შეიღლე, თაობიდან თაობაზე, ეპოქიდან ეპოქაზე.

მნელია, ზუსტად განმარტო, რა არის ზეპირსიტყვიერება. ეს იგივეა, რომ ხელით შეეხო ცოცხალ სიტყვას და მუქ ში იგრძნო მისი გულისძერა, ეს იგივეა, რომ ახვიდე მთის კველაზე მაღალ მწვერალზე და სივრცეებს გასძახო: „ლექსის თქმა მწარის, ხონგურო, შენც ამაყოლე ბანია,“ კლდეები კი ექოდ გაეპასეუხო შენს ხმას. ეს იგივეა, რომ ყოველგვარი მატერიალური შესაძლებლობებისა და სახსრების გარეშე სოფელ–სოფელ იწანვალო თუ შეთში თუ დუშეთში, რომელიდაც ერთკომლიან სოფელს მიაღებ და დაკაწრელი ხელებითა და აფორიაქტული გულით აქოშინებულმა ჩქარ–ჩქარა ჩაიწერო მოხუცის მიერ წარმოთქმული ორიოდ გარითმელი ფრაზა, ჩაიწერო და მიხვდე მისხოვის ღირსცხოვება...

სწორედ ამას აკეთებდნენ ჩვენი ქურნალის დღუვანდელი სტუმრები, ბატონი ლექსო ჭინჭარაული (ლექსო პაპა) და ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი, რომლებმაც პატივი დაგვდეს, თავიანთ სამყოფელ-

ში მიგვიდეს და სიხარულით გაგვანდეს არცთუ ისე პატარა საიდუმლო–ფოლკლორი ასე ძლიერ იმიტომ გვიყვარს, რომ ფეხები აქვს ღრმად გადამელით ჩეკნში, მყარადაც ამიტომ ვდგავართო მოწაზე.

P.S. „იდახე, ჩემო ხონგურო, დელქს გათლიოლო ვერხვისა, მანამ გიცოცხელობს პატრონი, ლექსებს ყოველთვის გეტყვისა“



### პახშში პოტეტიშვილი:

დიდი ხანია, რაც ფოლკლორისტიკა არსებობს როგორც მეცნიერება, მაგრამ მისი ზუსტი განსაზღვრება მაინც არ გვაქვს. ზოგადად, ეს არის ხალხური შემოქმედება.

თურიულად, ფოლკლორის თოხი ნაშან-თვისება გააჩნია:

პირველი, ეს არის კოლექტიური აზროვნების ნაყოფი. აქ რაოდენობას ეხმება ხაზი. მაგალითად, მე მელექსე ვარ და ვთქვი ლექსი ზეპირად, იმიტომ რომ წერა–კითხვა არ ვიცი, ეს მოისმინა მეორემ, რომელმაც დამასხოვრება სცადა, მაგრამ რაღაც დურალი დაავიზუდა, ამიტომ თავისებურად გაღებება და წამოვიდა მეორე ვარიანტი, შემდეგ მესამე მოისმინა, მეოთხემ, მეხუთემ და ა.შ ვინაიდან მის შექმნაში კოლექტივი იღებს მონაწილეობას, ამი-



ტომ კოლექტოურობა არის უმთავრესი ნიშანთვით სება ფოლკლორული ნიმუშისა.

მეორე ნიშან-თვის სება ვარიანტულობა. ლექსს თუ ვარიანტი არ გააჩნია, ის ფოლკლორული არ არის.

მესამე აუცილებელი პირობა გავრცელების ზე პირსიტყვიერი გზაა. მისი წერილობითი ფიქსაცია არ ხდება.

მეოთხეა ანონიმურობა. დღეს კი ცნობილია, რომ ეს მე ვთქვით-ვახუშტიმ, მაგრამ ხვალ ზოგი ვახუშტის მიაწერს, ზოგი გიორგის, შემდეგ კი საერთოდ დაიკარგება სახელი. „თავთარავნები ჭაბუქი” ვინ თქვა, არც ვიცით.

ეს კანონიკა მიღებული იყო მთელს მსოფლიოში, როგორც ღოგმა.

მე მქონია ასეთი შემთხვევა, როცა ურთმა ფშაველმა კაცმა თქვა ლექსი ექსპრომტად. მის შექმანში კოლექტივს მონაწილეობა არ მიუღია, ვარიანტი არ პქონია, არც ზეპირსიტყვიერად გავრცელებულა, ანონიმურიც არ იყო, ვინაიდან ავტორი პჟავდა-იონებ ბადაშვილი, მაგრამ მის მიერ თქმული ლექსი იყო ხალხური, იმიტომ რომ მასში იდო კოლექტივი ასროვნების კოდი.

მაშასადამე კოლექტიურობა არა როგორც რაოდენობრიობა, არამედ როგორც თვისიობრიობა. ამასე დაწერილი მაქსი სტატია – „ფოლკლორული პარალოქსი” და გავაკეთე დასკვნა. რომ ჰეშმარიტად ხალხური ლექსი მის გახალხურებამდე უკვე ხალხურია.

რაც შეეხება კაფიაობას, ეს ბევრ ჰეკვანაში არსებობს, როგორც ერთგვარი პოეტური შეჯიბრი, პაექტობა. კაფია შეიძლება იყოს ერთპიროვნული, ანუ საკუთარ თავზე ნათქვამი თვითირონია. აგრეთვე არსებობს ორპიროვნული კაფია, ანუ ერთი იტენის მხოლოდ ორ სტრიქონს, მეორე შემდეგ თრს მიაბამს და ასე გრძელდება.

იყო ერთი ცნობილი მელექსე – ჩონქარა, რომელმაც შემდეგი ერთპიროვნული კაფია თქვა:

„მონქარაი ვარ ღვერათი,  
დაგდივარ, როგორც კურატი,  
წაწალს შავპირდი წერებსა,  
კითომ თავადა ვერავდი”.

კაფია შეიძლება მაღლე დამთავრდეს, მაგრამ უნდა იყოს ექსპრომტული.

ერთი ცნობილი დარიბი მელექსე ხოხა მიდიოდა ცხენით, დაინახა, რომ მწყემსები სვამდნენ და ისიც მიიპატიუეს, როდესაც ორი ჭიქა დალია, მათრახის ბოლო ნაკვერჩხალში ჩაუვარდა და ცეცხლი მოეკიდა. ერთმა მწყემსა შეუმდერა (ფშავში კაფია-

ობას „შამდერნებას“, უწოდებენ):

- ცეცხლში რადა სწოვ მათრახს, ჩემო ძმობილო ხოხაო?
- მა რა ვქნა, ძმობილ გენაცვლოს, სარჩო რით დაგიცოტავო?
- მამაშენ იყო მდიდარი, ცეცხლში არასა სწოვდაო.
- მე იმთვე კიდევ დამრჩება, რაც მამაშენსა პქონდაო”.

ეს იყო ორპიროვნული კაფია, რომელიც მაღლებაში დაიღია, რადგან ძალიან ენამოსწრებული იყო ხოხა.

ფშავში არ არსებობს პურ-მარილი, კაფიაობა რომ არ გაიმართოს. იქ ნიჭი ყველას აქვს.

ჩვენ, ანუ მე, ალექსი ჰინქარაული, თენგიზ მირზაშვილი და სხვანი დავდიოდით სხვადასხვა სოფლებში და ვაგროვებდით ფოლკლორულ მასალას, ვეძებდით ნიტიერ ხალხს. ამ სიარულში ბევრ საინტერესო შემთხვევას შეესწრებივართ. ერთხელ გავიგეთ, რომ ფშავში ერთ მიურუებულ, ხუთიოდემდიან სოფელ ვერხველში ცხოვრობდა ვიღაც მელექსე ქალი-ივლიტე შავერდაშვილი. წავედით მის სანახავად. ბევრი ვიარეთ და, როგორც იქნა, მივაღწიეთ. მას ორსართულიანი სახლი პქონდა, მაგრამ ჩვენ გომურში მიგვიღო. გაკვირვება რომ შეგვატყო, აგვისენა, რაშიც იყო საქმე-თურმე თვითონ ამ ბოსებში ცხოვრობდა, სახლი კი საქონლისათვის და კრუხ-წილებისთვის დაუთმია. რადგან ისინი ბევრი არიან და მე ეს პატარა ადგილიც მყოფნისო.

ჩემზე და ლექსოზე ერთ ისტორიას მოგიყვებით: ერთხელ საქმაოდ გაშიშვლებულ მანდილოსნებთან ერთად მოვცხდით საზოგადოებაში და ლექსომ გადმომიჩურნულა:

„მიმოხედვე, ჩემო ვახუშტო,  
რა გამომწვევად ხდებან დუმანი  
მზადა ვარ, თითო ყველას ვახუშტო  
და დაგურიგო თუმან-თუმანი”.

მე ვუპასუხებ:

„რა გიასუხეო, ჩემო ალექსი,  
არა გდალატობს მამრის გუმანი,  
ასე სასწავლოდ როგორ გალექსე  
შენი კოლეგის გულის თქმანი”.

ამას წინათ, სკაბრეზული პოეზიის კრებული რომ გამოვუშვი, დიდი გაკიცხვა მივიღე ზოგიერთებისგან, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ეს არის სწორედ ფოლკლორი და ხალხურობა, რადგან მთაში კაფიაობა თითქმის სულ ამ თუმაზე მიდის. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ცედი ამაში არაფერია.

ესაუბრნენ  
მაგა ელიგაშილი  
თამარ ლოლიაშვილი



## ლექსო ჭინჭარაშვილი (ლექსო პაპა):

ძალიან მნიშვნელოვანი ფენომენია ფოლკლორი და, საერთოდ, ზეპირსიტყვიერება. მეცნიერებლად იმის განსახულება, თუ რას ნიშნავს და რას გულისხმობს ეს სიტყვა, ნამდვილად არ გამოვდგები. ეს არის უბრალოდ ხალხის შემოქმედება, ხალხური პოეზია ან პროზა. დღესდღისინით ხალხურს ვეძახით უველაფერ იმას, რასაც აგზორი არ ჰყავს, თუმცა, რა თქმა უნდა, თითოეული ფოლკლორული ნიმუში ავტორის შექმნილია, მაგრამ დროთა განმავლობაში მას რაღაცები ჩაემატა, ან სულაც მოაკლდა, გარდაიქმნა, დაიხვეწა—ეს არის ნაწარმოების ხალხურობა. აი, მე, მაგალითად მოვიყვანდი ჩემი მეგობრის, გახუშტი კოტებიშვილის მამის—ვახტანგ კოტებიშვილის მიერ გამოცემულ წიგნს — „ქართული ხალხური პოეზია” (მოგეხსენებათ, ვახტანგი რა კაციც იყო, მეცნიერი, მსახიობი, მოქანდაკი). ამ წიგნში წუთისოფლის რაობაზეა ერთი ლექსი:


„წუთისოფლი რა არის,  
აგორებული ქვა არის,  
სადაც კი დაგიძადებით,  
იქვე საფლავი მხა არის.”

იქვე გრძელდება: „ჟელა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩენი მმა არი”. ჩემი აზრით, ეს სხვადასხვა სტროფებია, შემდგომში შეერთებული, მიმატებული, ჩართული.

ხალხური ცნებებია ასევე შაირი და კაფია. შაირი არაბული სიტყვაა, კაფია კი არ ვიცი. ამბობენ, ეს შეიძლება „ლაფაზ”, სიტყვიდან მოღიოდესო, ლაფბობასთან რომ არის დაკავშირებული, ან კაფია მკაფიოს ნიშნავდესო. საერთოდ, თრივე, შაირიც და კაფიაც, ძალიან დაბალი რანგია პოეზიისა. პოეზია სხვა რამეა, ფართო გაგებით ეს არის ვაჟა, გალაკტონი... კაფიაობა უბრალოდ გაპასუხებათ. ხადაც როი კაცი ერთმანეთს გავპასუხებოდა, უველაფერი კაფიაობა და შაირია იყო. მოშაირე სტროფ-სტროფ სიტყვებისა და აზრების გამომთქმელს ერქვა; მაგრამ სიტყვა მოშაირე არ შეიძლება ეხებოდეს „ვეზნისტყოსანს.” მის ავტორს ამას ვერ დაარქმევოდა იყენებოდა ის არის ხალხში სახუმარო, საქმაოდ ხშირად სკაბრეული ფრაზების მთქმელი სიტყვის მოგების მიზნით.

ძალიან აქტიური პროცესი იყო კაფიაობა და შაირია ქიფის დროს შეზარხოშებისას. ამ დროს წამოისვრიდნენ ხოლმე ფრაზებს და აქვებოდა ერთი, მეორე. ძირითადად ორ-ორი ტაქტით ეგაფიავშბოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ვინმე გამორჩეულადაც დააქციდა და დაახვავებდა ხოლმე რითმებს ერთმანეთს.

მე ვფიქრობ, კარგი მოკაფიავე რომ იყო, უმთავრესი ნიჭია და მიჩვევაც, რა თქმა უნდა. ამ მხრივ, უველაზე ნიჭიურები ფშავლები არიან. მაგალითად, ვაჟა მოკაფიავედ არ ვარგოდა, ძალიან ხშირად ამარცხებდნენ, მაგრამ კარგი მოკაფიავე იყო აკაკი შანიძე, უდავოდ ნიჭიური. მის ბიძას ქვედა ფშავის ტერიტორიაზე დუქანი ჰქონდა და აკაკიც ხშირად ატარებდა იქ დროს (იმ პერიოდის განმავლობაში, როცა შემოვლებს ატარებდა სოფლებში). საერთოდ, კაფიაობა ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლე-



ნაა. თუ ვინმეს რაიმე კარგი წამოსცდება, იმას ავრცელებენ ხოლმე, თუმცა უველაფერს ვერა. ერთ შემთხვევას მოგიყვებით დუშეთში ერთგან არის ავტოსალგური. მოგეხსენებათ, ავტოსალგურებში საჭმელებსაც ამზადებენ, ხალხმა რომ წაიხემსოს. დუშეთში განსაკუთრებით კარგად ამზადებდნენ ხინკლებს. ჰოდა, შესულან ფშავლები დუქანში და მოუთხოვიათ ხინკლები და ლუდი. ცოტა ხანში შეამჩნია მელუქნებ, რომ ლუდი დაულევიათ, ხინკალი კი ხელუხლებლად დევს, მივიდა მაგიდასთან და იპოვა წარწერა:

„დუშეთის ხახინკლებშია  
შემოვედ შარახეველი,  
არ ვარგებულხარ, ხინკალო,  
მე შენი შამაშევეველი...”

ეს პირდაპირ გინებაა; მსგავს რაღაცებს ამბობდნენ და იტყვიან კიდევც, მაგრამ ტელევიზიით ეს, ცხადია, არ გაშევდება.

მე პირადად ბევრი კაფია მომისმენია, რადგან ხშირად დაგითოდი მთის სოფლებში, უფრო მეტად ვახუშტისთან ერთად. თავადაც ვკაფიაობდით. როცა ხალხური გვინდოდა, ვერიდებოდით იმათ, ვინც გაიძახოდა წვერი გვეითხეთ, რადგან ვიცოდით, კარგი მოკაფიავები ძირითადად სიტყვაძვირები იყვნენ და დუქმდნენ ხოლმე.

ხალხში სიახრულსა და პრაქტიკულად მოძიებას, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი აზრი აქვს, განსაკუთრებით მაშინ, თუ არის ხახსარი და ხაშუალება. ადგინძნავ, რომ 1911-1913 წლებში აკაკი შანიძე მოგზაურობდა ხევსურეთში, თუშეთში, ფშავში, მთიულეულში, გუდამისურებრივი მასალები მოიპოვა. ფოლკლორული ექსპედიციები ტარდებოდა მაშინაც, როცა გიორგი ლეონიძე იყო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, მაგრამ, ხამ-

წესაროდ, ეს ჩანაწერები აღარ არსებობს, დაიკარგა. ძველი ჩანაწერები ბევრ რაიმეს გვეტყოდნენ ფოლკლორის შესახებ. მე საერთოდ მჯერა, რომ ხალხური სიტყვიერება „უძველესი დროიდან მოდის. მაგალითად: მე-12 საუკუნეში იგი ძალიან მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო განვითარებული. მაგრამ სიტყვა „ლექსი” და „შაირი” იმ დროს არ არსებობდა, ამიტომაც ვამბობ, რომ თავად „ვეფხისტეასნის” პროლოგში ყველა სტროფი ჩამატებულია, ერთის გარდა: (რომელმან შექმნა სამყარო...“)

მე პირადად ბევრი რამ სწორედ ჩემი მოგზაურების დროს შევისწავლე უამრავი ნიჭიერი ადამიანი შემხვდა. ერთ ისტორიას მოგიყვებით, რომელიც თავად გადამხდა:

ერთხელ ფშავში ვიყავი. იქ იყო ასეთი კაცი – გიორგი მგელიაშვილი, რომელსაც „ყრუ გიორგისაც“ ეძახდნენ. გახლდათ მეტად პროდუქტიული და ძლიერი მოლექსე. ამ გიორგის შვილიშვილები ხატობაში ამოვიდნენ, მეც ამიყვანა იქ მეგობარმა, უძილაურობაში. იქ დაგვხვდა ასევე ცნობილი მოშაირე შეთე მაყონიშვილიც, რომელიც ადრე ყრუ გიორგის ეშაირებოდა. ახლა კი ვხედავ, ამ გიორგის შვილიშვილები დასევიან შეთეს და ეკაფიავებიან, შეთე კი როგორც ძაღლებს, ისე იგერიებს მათ. მე ამ დროს გოგონებთან ერთად ვიჯექი, რომლებმაც მოხვევს, შეთეს შეეპასუხეო – გეტყობა, ხევსური ხარ და კაფიაობაც გეხერხებათ. ვიცოდი, რომ ამისგან არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ მე ცოტა რამ გამეგებოდა პოზნიაში, მაჯამა გავუკეთე და ვუთხარი: „სულ დავუხეტყვავ შეთესა, რაც რომ შეხნა და შეთესა, - ვიფიქრე, გამოვიჰერ-მეოქი, მაგრამ მან მიპასუხა: „მაგათი... ვინც ეგ ლექს შაგიკვეუსა!“, ბევრი ვიცინეთ ამასე. ერთხელ კი თითქოს დავანაშეს: „მოხეცო, გვჩაგრავ ახლებსა, რაისთვის არა გრცხენია?!” – „ეგეთ მოხეც თუ გგონივარ, მომგვარე დედაშენია!,-მითხრა. ხმის ამოდება არ შეიძლებოდა მათთან, მაშინვე გეტყოდნენ რაიმე უკეთესს.

ახლა ადარც კი ვიცი, ვინმე თუ დადის ასე და იწერს. მე უამრავი ჩანაწერი მაქსი, მაგრამ, ალბათ, ვუდარ მოვასწრებ გამოქვეყნებას, დიდი მასალად.

კარგია, თუ თქვენ, ახალგაზრდებს გექნებათ შესაძლებლობა და რაიმეს მოიპოვეთ, გააშუქებთ, თორებ ცოტაც და სულ მთლად ჩაკვდება ჩვენი ქართული ტრადიციები. მე იმ შეთესთან მერეც ვიყავი,

სადღაც ტყეში ცხოვრობდა. გენიალური „მტკუანი,, იყო, უამრავ ამბავს მიყვებოდა, მეც გრული და გიწერდი, ფშავური ლექსიკონისთვის შეირდებოდა ეს ხშირად ამას მე და ვახუშტი ვაკეთებდით ერთად. ვახუშტი ჩემი დიდი მეგობარია, იცით, ალბათ.

მაგრამ ამ ბოლო დროს რომ სკაბრეზული ლექსების წიგნი გამოუშვა, ის არ მომეწონა. ქართველი კაცის ბუნებაში ასეთი სიტყვების სახალხოდ გამოცხადება არ ჯდება. ამიტომ ამის დაბეჭდვა გამართლებულად არ მიმაჩნია. ვახუშტის ამის შესახებ დავუწერ კიდევ ორიოდ კაფია, გამოვაქვეუნე კიდეც, ერთ-ერთს გავიხსენებ:

„სხვა საქმე გამოლევია,  
მიაღვა სკაბრეზულებსა,  
ვახუშტის ავრე პტონია,  
მაგიო იშოვის ცულებსა“

ახლა სხვა ეპოქაა. ახალი თაობა მოვიდა, თქვენ, ახალგაზრდებმა უნდა იმოქმედოთ. მე გიორგის მოხვეთ, რომ არ დაკარგოთ ტრადიციები, ის, საიდანაც თქვენ მოხვედით. ბევრი უნდა იშრომოთ. ყველა ეპოქაში ასეა, რომ ახალგაზრდები წინა თაობიდან იღებენ მაგალითს, თქვენც ასე მოიქვეცით, თორებ ახლა მძიმე დღეში ვარო ქართველები, ყველაფერი ჩვენებული ხელიდან გვეცლება, უამრავ ტრადიციას ვკარგავთ. მე თუ მკითხავთ, ხისხლის აღების ტრადიციაც კი არ იყო ცუდი. არსად იმდენი მკველეობა არ ხდებოდა, რამდენიც ბარში, უბრალოდ მთაში ამას სხვა სახე ჰქონდა. თანაც ხევსური მთელი ძალით კი არ დაგარტყამდა, არამედ მხოლოდ მაჯით. მთელი ძალით ხანჯლის მოქნევა სილამრედ ითვლებოდა, სხვა სამართალი იყო მაშინ. ქალებსაც სხვა კრიტერიუმები ჰქონდათ. მაგალითად, ქალს კაბაში კოჭი არ უნდა გამოსხენოდა. ერთი შემთხვევა ვიცი, როცა ქალი წაიქცა და კაბა აეწია, ვიღაცამ ჩაიქირქილა, მან კი იმ საღამოსვე თავი მოიკლა. აღრე ასეც ხდებოდა.

თქვენც ეცადეთ, არ დაკარგოთ ქველი წესებულებანი და ისე იცხოვრუთ, როგორც ეს შეჰვერის ქართველ კაცს ქართულ ცხოვრებაში, იკითხეთ ბევრი და თქვენს ირგვლივ შეინარჩუნეთ ყველაფერი ქართული.

ესაუბრენენ  
ლიზი შალიგაშვილი  
ლელა სისაშრი



## „პრალამ თქვა უძლაურმა...“

ვაჟამ ბრძანა: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა, რომ კურფილიყავ მუდამა მოქბის გულ—ძერდის მძივადა“. სურვილით „გულგასერილ“ უცნობ ფშაველ გოგოს კი უთქვამს: „სივარულმა და ნდობამა სიკვდილ არ იცის ქალისა, ხერავი ნისლად მაქცია, გადმოვიდილი ქარითა, იქ დავიწყებდი წვიმასა, სადაც შენა ხნავ ხარითა“. არცოუ აგრერიგად სახელგანთქმული მოლექსე ბოტი თომაიშვილი კი იმავდროულად თავსაც იძეჩავებს და იკვენის კიდევაც: „ბოტი ვარ თომაიშვილი, კაფიას ვიტევი ჭირითა, ლექსებით გატენილი ვარ, როგორც ღრუბელი წვიმითა“ დამერწმუნებით, სამსავე შემთხვევაში პოეზიის მაღალ რანგთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ბოტის შესახებ იფიქრებს კაცი: ამას ძალი შესწევს ქადილისა და, ვაი იმას, ვინც მეტოქეობას გატევდავსო. მაგრამ ხალხს უთქვამს: მჯობნის მჯობნი არ დაიღევაო, — კაფიაობისას უცნობ ფშაველს ბოტისთვისაც „გადაუსხევებია“ სიტყვა:

ბოტი—გაჟინინანდა ბორაი,  
მექს ისვრის, როგორც ლახვარი!  
უცნობი: — დედა ვტეირე, ისროლოს,  
თავში — ქვა, თვალში — ნაცარი!

ასეთმა უცნობმა და უსახელო-სახელოვანმა წინაპრებმა შექმნეს ქართული სულიერი კულტურა, კერძოდ, უბადლო ქართული ხალხური პოეზია, რომელსაც ისევე უნდა მოვლა და დაფასება, როგორც მის ტრადიციებზე აღზრდილი ჩვენი სახელოვანი კლისიკოსების შემოქმედებას. სამწეხაროდ, ეს ამოუწერავი და ფასდაუდებელი საუნჯე ჯერ-ჯერობით არც ჯეროვნად შეკრებილ-აღნუსხეული გვაქვს, არც სათანადოდ შესწავლილი.

მაშინ, როცა მე ფშავში ვიყავი, ცნობილ მელუქსეთაგან ორიოდედა იყო ცოცხალი — ბერიძე ხახონიშვილი (შეთე) და ჭრელა უძილაური.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ამ უცნასენელს რომ შეკვდი, ოთხმოც წელს გადაცილებელი იყო, მაგრამ საღი და გამჭრიახი გონება ჰქონდა.

ლექსეს მესამე პირში ამბობდა ხოლმე: „ჭრელამ თქვა უძილაურმა: თმა გამითერდა თავშია, მაგრამ კიდევაც მითესავ სამი დღის ვეტე ცაშია...“ ბერი ლაპარაკი არ იცოდა, სიტყვას დაუფიქრებლად არ გადააგდებდა: „იმდენი დეჭვა ლექსმას არ უნდაო, რამდენიც სიტყვასაო“; ან: „გაკრული ქაო უკვენ აღარ დაბრუნდებაო, — ამბობდა ჭრელა (ისარი და პირით სიტყვა არ გასტყორცნო, არ მობრუნდეს).

თავისი ლექსებისა და კაფიების თქმა აგრერიგად არ უყვარდა, არ ტრაბახობდა, ზოგსავით თავისას არ აქებდა და სხვისას არ აძაგებდა.

ჭრელა მოსწრებია წინა თაობის მოლექსე-მოშაირებს: ყრუ გიორგის (გიორგი მგელიაშვილს), ტოკას (ხვთისო იმერლიშვილს), ფოთოლათ მერცხალას (გამიხარდი ფოთოლაშვილს)...

ტოკას ჭრელა კახეთში შეხვდრია. თურმე ჭრელა თავის ბილა მოლექსეებს ჯაბინდა. თოკას ეს ვერ მოუთმენია და ჭრელას გჯკაფიავებია:

ტოკა: — ჩემთან გადმოხედ ჭრელაო, ვერ იტყვი ტოკასავთა!

ჭრელა: — დაგატრიალებ, მოხუცო, ახალწლის გოგრასავთა!

ტოკა: — ცრემლებ არ ჩამამადინო გატეხილ ტოკასავთა!

ასე შეპყოლიან და განთქმულ მელექსეს ჭრელა თავის დირსეულ მეტოქედ ჩაუთვლია.

კველა კარგ მელექსეს აქს ლექსის თქმის თავისებური მანერა, ინდივიდუალური თემატიკა და პოეტური სახეები. მოლექსეთა ერთი წყება საგმორო ლექსების თქმით არის გატაცებული, მეორენი მუდამ ქილიკობენ და ენამახვილობენ, მესამენი სიყვარულს უხდიან მეტ ხარკს.

ჭრელა უძილაური თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მის რეპერტუარში მხიარულ განტყობილებას პესიმიზმი ცვლის ხოლმე, ამ უკანასკნელს კი — საყვაცხოვრებო მოტივები და ყოვლისშემძლე სიყვარულის ფილოსოფია.

ჭრელა უძილაურს დიდი მწუხარებაც უნახავს: მას თოხი შეიძლი და მეუღლე ჰყავდა დაღუპული, ამას ჭრელა აუკვნესებია: „ჭრელამ თქვა თავის თავზედა: „ბეჭავ კაცი ვარ, ცოდვილი დაგბურდი, ადარ შემიძლავ, ორაზედა ვარ მოხრილი. ფეხი ერთურთს გეღარ ვაცილებ, მიერ საწუთოს ბორკილი...“

მაგრამ ჭრელა ცხოვრებას მაინც ფილისოფოსის თვალით უყურებს. უვლავერი დედის ბრალიაო, მითხრა: „სიკვდილსაც დედა აჩენს და სიცოცხლუსაც. საცა სიცოცხლე გააჩინა, იქვე სიკვდილიც გააჩინაო“.

როგორც ჩანს, ეს ფშავში „მოარული“ სიბრძნეა: სიცოცხლესა და სიკვდილს ერთი დედა ჰყავს. აი, რას ტირის შეილმომკვდარი ფშაველი ქალი; სიცოცხლე თავად გააჩინე, სიკვდილიც შენივ შეილი არის... „ამ წელისოფელს თავი და ბოლო ერთად უძევს“ — ო, ბრძანა ვაჟამ და ესევ თქვა: „დმერომა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შენობს შენითაო...“

ჭრელას აზრით, სიკვდილის მეგობარი სიბერეა. ჭრელამ წვივზე მოიკიდა ხელი და თქვა: „ეს წესის ჩერანი, ეს ნაცურთხი წესისა რო თხელებას დაიწყებს, მაშინ ბერდები. სიბერეზე მამაცი არაფრი არ არი“. ამიტომ სტულდა ჭრელას სიბერე და



მას „საწუთოს ბორკილს „ ეძახოდა.

ერთ ქალიშვილს უთქვამს ჭრელასათვის: „აბა მე, რარიგა დაბერებულხარ! „— ჭრელას ექსპრომტად მიუგია: „ქალავ, ნუ გიკვირს სიბერე, შენც მალე დაბერდებია, დაგითხელდება ლოუები, დაგოთხორდება თმებია. სიბერესა და სიკვდილსა, მაგრას ვერ ასცილდებია! ეს სიბერე და სიკვდილი ადრიდან მეგობრებია“-ო.

სამაგიეროდო, ამბობდა ჭრელა, „სიხარული და სიყვარული ერთ სასწორზედა დგანანონ“. სიყვარულზე მაინც ისე გულსრულად და აღტაცებით მსჯელობდა, რომ ეხლაც შეყვარუბული გეგონებოდათ. არც თავისი უიღბლო სიყვარული დაუფარავს: მიჯნურთა გრძნობებს ნათესავები გადადობებიან წინ. „როგორც თვალი შორს, ისე გული შორს“-ო, უფიქრია ჭრელას და ერთხანს ფშავიდან კახეთს გადახვეწილა: „ტარიელივით უნდა ვქნა, უნდა გავიდე ველადა, შემოვიარო ქვეყანა საყვარლის საქებნელადაა“.

უიღბლო მიჯნურს კახეთიდან თვალი მაინც ფშავისკენ გაურბოდა: „შაქრივნის – თავით გაეხდავ, ჩამოშრა სერებიაო, მოგელი დაწუხებული, ფშავით მონაბერნიაო. იქნება გამაგებიონ, ვის დარჩა ჩემი მზიან? ვის აუყვავდა მკურდზედა, ან ხელ ვის გადახვიაო?“

ჭრელა „უძილაური მეორე მსოფლიო ომის დროს ბრძოლის ხაზზე იდგა: „მშვიდობით, ჩვენებურებო, მეორედ მივალ ფრონტედა. კირაით დავჭიიანდები, ველარ მოგივალო დროზედა. სათიბად ვედარ შევხვდები ეკლიანის გორზედა“.

ჭრელა მძიმედ დაიჭრა; გამოკეთდა თუ არა, ისევ ფრონტზე წავიდა: „მარცხნას ფერცხალში

მამხვდა გერმანელთ გამოკრულია, ისივაც წაგა ჭრელაი, რო მაურჩება წყლულია“. ომის შემდეგ მუშაობები ლიურ სოფელს, კანატიას დაუბრუნდა დაშიშტუშანდა სათიბრად ეკლიანის გორზედა“.

ჭრელა ახალგაზრდების საყვარელი მოხუცი გახლდათ. მას მართლაც ხშირად ეძახოდნენ „ჯეოლები“, „ჩვენთან გადმოხე, ბიძაო“. მასხოვს, ახალგაზრდების წრეში ხინკლიან ხონჩას უჯდა და ფშაურ „უპიტაურს“ სვამდა. უკვე ვთქვით, რომ ჭრელას თავისი ლექსების თქმა არ უყვარდა. მისი ლექსები ახალგაზრდებმა იცოდნენ ზეპირად. ისინი ამბობდნენ მის ლექსებს, ჭრელა კი სიტყვაძვირობდა. მაგრამ აი, ვიდაცამ სიყვარულის სადღეგრძელო დაიწყო და ჭრელას თვალებში სულ სხვაგვარი შუქი აკიაფდა. მოხუცი ისეთი გატაცებითა და მელანქოლიური ტონით ლაპარაკიბდა, რომ იფიჭებდი, ალბათ, ძველი სიყვარულის იარები ჯერაც არ მოშუშებიაო. იგი ოდნავ თვალებმოწურული, რბილი ხმით ამბობდა: „ნეტაი გაზაფხული ქნა, ფოთოლ არ ჩამოდიოდეს! ბარში ბულებული გალობდეს, მთას შადრევნი ჰყიოდეს! ცოცხალ კაცს ცოცხალ კაცისგან გული რად უნდა სტკიოდეს?!“

ეს ახალგაზრდობის დროს დასმული კითხვაა. ამ კითხვაზე ჭრელამ ასე უპასუხა: „სიყვარული, ბიძაის კაცო, ეგ არი უწამლო ავადობა კაცობრიობის სისხლში შეპარული“-ო.

ვინმე უცხოს რომ მოესმინა ჭრელა უძილაურის იმდღევანდელი მსჯელობა სიკვდილ-სიცოცხლისა და სიყვარულის პრობლემებზე, ალბათ, გაუკვირდებოდა. მე არ გამკვირვებია, რამეთუ ვიცოდი, რომ ჭრელა უძილაური ჭეშმარიტი პოეტი გახლდათ.



გაგვიძებ, ბერო მინდიავ,  
მუხლი მაიბი მგლისაო,  
გაიყოლიე ვაჟკაცნი,  
ვისაც თავი აქვს ცდისაო!

## ხალხური



ააატა შაშგია

## გაფცვა



შენ საკუთარ თავს მოპარავ თავს,  
მე კი საკუთარ თავში ვერ ვთავს-  
დები და გეტყვი, რომ ყოველდღე მკლავს  
კალამი, რომელიც იმონებს მკლავს.  
ყოველდღე ვიგონებ ჩემივე არსე,  
რომელიც, არ ვიცი, გაქრა თუ არს.  
ჩემზევე ვიგონებ დმეროებს და მამონებს  
და ბერას, რომელიც ჩემსავ თავს მამონებს.  
და როცა სიტყვები ბოლომდე მძლევს,  
გეტყვი, რომ ჩემამდე მოვედი ძლიერს.  
გეტყვი, რომ ბერები გაფრენას რეგს.  
ვწერდი და ვუსმენდი უმძიმეს როკს.  
გეტყვი, რომ ამქვეყნად არავინ მყავს  
და ვტოვებ ლოგინში საკუთარ ტყავს.  
გეტყვი, რომ გეტყვი, რომ, როდესაც მსურს,  
სურილი მარილებს ავსებულ ცურს.  
მე ვიხდი ყოველდღე საკუთარ თავს  
და ვიცვამ იქსოს, პოეტს ან გმირს.  
გეტყვი, რომ საკუთარ თავში ვერ ვთავს-  
დები და გეტყვი, რომ ყოველდღე მკლავს  
კალამი, რომელიც იმონებს მკლავს.

## განცყობილება

სოფლის ბოლოში მამალმა  
ამოამოქნარა მოვარე და  
მერე მოვიდა დილა და  
ცა ამო-თავთავ-თაველ-და.  
მერე ცისკარი გაიღო  
და მზე წამწამზე წამოწვა,  
მერე მზის სხივმა წამწამი  
ნაპერწკალივით წამიწვა.  
მერე მოვიდა მიზეზი,  
რომ მეანცა და მელოთა.  
ცაში კი იღგა უფალი  
და აღარავის ელოდა.  
იყო და არა იყო რა,  
იყო რა? ბოლოქანქარა.  
ჭირი მდინარეებ წაიღო,  
ლხინი იქა და აქ არა.  
გზა იყო მიზნის მიმდრევი  
და უმიზეზოდ ბნელოდა.  
მე კი ეზოში ვიდექი  
და საკუთარ თავს ველოდი.



\* ცნობიერებაში შემოსული მხატვრული ქმედების ნაყოფი

## ციური ცენზურა

შენ მტვერი ხარ, ნუ შეახებ ხელს  
 ცაზე  
 გასაშრობად დაკიდებულ მზე.  
 ნუთუ, ნუთუ, ნუთუ, ნუთუ ჯერ  
 კიდევ  
 ვერ გაიგე, რა გიმტვერებს ჭერს.  
 ხოტბა ხარ თუ ხარ სამოთხის ხე,  
 იქნებ,  
 დრო ხარ, რომ გხრავს ხელდა-ხელდა-ხელ.  
 იქნებ მე ხარ, იქნებ შენ ხარ, იქნებ,  
 იქნებ,  
 იქნებ ბედის ლაბირინთში მიგნებ.  
 იქნებ ჭა ხარ, მზე, რომელშიც ჩანს,  
 იქნებ,  
 იქნებ ქვა ხარ, შენს სახელს რომ ჭამს.  
 იქნებ ხმა ხარ, ყველაში რომ ძგერს,  
 იქნებ,  
 იქნებ ძე ხარ და გიწოდებ გერს.  
 როცა მზის სხივს ხელისგულებს ფხან,  
 იგრძენ,  
 მტვრად შეგიგრძნობს ხანდა-ხანდა-ხან.  
 შენ მტვერი ხარ, ნუ შეახებ ხელს  
 ცაზე  
 გასაშრობად დაკიდებულ მზე!

## შემომაცხოვანლი!

და მე  
 დამე  
 მემოსა ტანს.  
 დამეს  
 დამე  
 დემონს ატანს.  
 ღმერთმა  
 ტანი  
 შემოსა რა,  
 სული  
 სალი  
 შემოსარა.  
 ვწვები  
 სწებით,  
 წახვედი რა,  
 მთები  
 შვებით  
 წახვეტილან.  
 წვება  
 ბაღში  
 ბაღთა თაღი.  
 დახშე,  
 დახშე  
 ფარდა სახის.  
 სულში  
 ვნების  
 რა ცხოვარ დის.  
 შემო,  
 შემომაცხოვარდი!





# აუტორი

ეროვნული  
აკადემია  
„იუდება საქართველო“  
ნ.ლორთქიფანიძე

ანგელოზი მუზა მიზის  
თეთრი, როგორც არაუანი...  
მთები—როგორც დარაჯანი,  
მთვარე—ნესტან-დარეჯანი.  
გაყიდულა,  
გაყიდულა,  
გაყიდულა ოცნებები,  
გაყიდულა კონკია და  
ცრემლიანმა ვკოცნე პეპი.

გაყიდულა მარანი და  
გაყიდულა მერანი,  
გაყიდულა მარონი და  
გაყიდულა მარონი.  
გაყიდულა დოლაბი და  
გაყიდულა დოლები,  
გაყოდულა,  
გაყიდულა,  
გაყიდულა გულაბი.  
გაყიდულან ბერები და  
გაყიდულან ბერები,  
გაყიდულან ფერებ-ფერებ-  
ფერებ-ფერებ-ფერებით.  
გაყიდულა პოეზია  
მაცდურ აუქციონზე,  
გაყიდულა სინათლე, რომ  
მხარი აუქციონ მჴეს.  
გაყიდულა ოცნებები—  
ოხვრით შენაქუჩები,  
გაყიდულან ჩემი გოგოს  
გაბუბული ტუჩები.

ყიდულობენ მგოსნები და  
ყიდულობენ მგოსნები,  
კაცები და ქალები და  
ქლესები და ქოსები.  
ყიდულობენ ბერები და  
ყიდულობენ ბერები,  
ყიდულობენ ფერებ-ფერებ-  
ფერები-ფერებ-ფერებით.  
და ხმაშიაც კმაყოფილი  
კაცის უშნო რიხი დევს...  
გვსიკვდილიც იგვიანებს,  
ალბათ, ისიც იყიდეს!!!



\* \* \*

შენ შეგიძლია, ყოველ დილით წამოდგე არა  
სიზმარშემხმარი საწოლიდან, არამედ მხოლოდ  
შენი თავიდან, სხეულიდან, რომელსაც ფარავს  
გაუხედნავი უძილობის უწყვეტი სოლო?  
შენ შეგიძლია უახლოეს გაჩერებაზე  
რომ მიატოვო შენი თავი და შორს წახვიდე,  
შემოისხურო შენი სიტყვა, როგორც ემბაზი  
და გამოხვიდე სხეულიდან, როგორც სახლიდან?

შენ შეგიძლია? ალბათ, არა!.. მე შემიძლია!



## ბოლო ფროს

ვარდისფერ ბუჩქებში დამემალა  
ანარეკლი ჩემივე ტანის,  
მინდა

დაწყება რაღაც ახლის  
და მერე ტაში  
ჩემი თითების.  
მითების

ხანაში არ დავბადებულვარ,  
თორემ ვიქნებოდი უფრო იისფერი,  
უფრო ტყვიისფერი  
დამიღგა დღეები,  
თუმც ყურს არ ვუგდებ ეჯვნების ჟღარუნს  
და მცირედ მაინც

ვარ ბედნიერი!

ვერ გევერები?  
არაფერია,  
დაგბინავდებით მე და შენ, ალბათ,  
ოდესმესადმე, „ჩემს“ და „შენს“ გაღმა  
ცის მიწურში.

და გეეცოდინება, რომ ვართ  
ფერები,  
უფლის ხელებით დანაფერები.  
ზაფხულის ეინით ანაფერები  
მოსულა დამე,  
საკრალურ მოვარეს გავუდებ კარებს,  
მივანდობ აზრებს.

და დაიწყება ჩემში ამბავთა დენა,  
რომლის დასაწყისიც ვიქნები მე,  
ბოლო კი – შენ.  
და იქნებ მზემაც

შემიყვაროს უძღები და უსახლკარო,  
მაჩუქრს კარი.

და ავდარი შემომხსნას მხრიდან.  
ვარ ბედნიერი!  
ვიცი, მაინც ვარ ბედნიერი!  
თუმცა იერი მაქვს უცხო და უმარტივესი.  
მინდა

სიმწვანე ყვითელი ჭადრის,  
დაწყება-რაღაც ახლის.



\* \* \*

შენ გესმის ჩემი?  
მე მესმის ცის,  
მე მესმის მზის  
და ზღვის...  
და უნებურად ცრის,  
და უნებურად ქრის  
გრიგალი თავზე კლდის.  
და უნებურად მდის  
ცრემლი ნაავდრალ დდის,  
ცრემლი ნატახტარ მზის.

დისკოსებრ დღეში წვიმს.  
 წვიმა და ისევ ვთრთი  
 შიშით ათქვირულ ხის.  
 ანათინათებს ცას  
 სხივი ატუზულ დღის,  
 მე კი წამწამებს ეხრი,  
 რადგან მრცხვენია მზის  
 ათაკარებულ თმის.  
 შენც ნუ დაირცხვენ, თქვი,  
 როგორ გადელვებს ხმა  
 ახლადგადაშლილ ტყის.  
 შენ გესმის ჩემი? ცის?  
 გესმის მზის? იქნებ ზღვის?  
 თუ უნებურად ცრის,  
 შენ დაელოდე ერთს—  
 ჩემ-ზი გადაშლილ ფიქრს!

## დაცარა



გამოიზამთრეს ჩემმა ფიქრებმა  
 ჩამომტკრული კედლების მიღმა,  
 ასე მეგონა!  
 ახლაც მგონია,  
 რომ თოვლი მხოლოდ თოვლი არაა,  
 რომ ქარი მარტო ქარი როდია.  
 და ზღვარზე, თურმე, გადამივლია.  
 სადაც ოცნების სიდრმიდან ისმის,  
 თუ როგორ ამღვრევს სიჩუმეს ზარი,  
 გაუწინდა ბზარი  
 ჩემს ფიქრებს და უფოთლო ტყეებს.  
 ტოტებზე სველი ხელებით ვკიდუ  
 ჩემს ნატერის ხეებს.  
 შევახებ ველებს  
 გათოშილ მტევნებს.  
 გამივლის თოვა,  
 დაგტოვებ რთას  
 და გამოხურულ კარების მიღმა  
 დამრჩება ფიქრთა გამლხვალი გროვა.  
 ო, როდის მოვა კპლავ  
 გაფრენის უსაზღვრო ნდომა?!

## ორი

გამავსე შენით,  
 გამათბე ცით,  
 გადამითეთრე დამწვარი შებლი,  
 ზამთრის სუსხი და  
 გამლდვალი დილა,  
 დამალევინე მზით!  
 თუ ცრემლი მდის...



## ციცა

დამე თბილია.

მე თითქოს ვნებდები ჰაერის გამჭვირვალებას.

ჩემი ხელები, როგორც ფერები

მკერდსაეს მთვარის,

ეხებიან გაურკვეველ სივრცეს,

და მეც ჩემს გარკვეულობაში შემაქვს ეჭვი.

რატომდაც მინდა

ავხელო ცას და

არ ვიგრძნო დაღლა.

მე მინდა მაღლა,

მერე რა, რომ ციფია მკერდი...

ფრთხილად ვეხები ატომებად დაშლილ ჰაერს

და დამეს ვეფრთხობ გამჭვირვალებას.

და მერე რა, რომ ციფია მკერდი?..

მე მინდა ზევით,

სულ უფრო ზევით,

თავბრუდამხვევი ქარების გვერდით,

აჩქარებული სუნთქვების ფერხთით.

სადაც არ არის სევდა და დაღლა,

ჩემი ოცნების გაღმა მხარეს

ჩემი ფიქრების მიწურულს, სადღაც,

რომ ვიყო მეტი.



\* \* \*



„ სწავლობს გიგლა ტიტინა... ”

...სხეულის კედლებში ვზივარ  
მე, პოეტი,  
ვზივარ უნიღბოდ,  
ვზივარ მარტო,  
გადაშლილია წიგნი თითქმის  
გადაშლილი სათაურით—  
—„გზებზე მზის გადაღმა” ...  
რომელსაც ვკითხულობ მე—პოეტი,  
მე—უნიღბო,  
მე—მარტო...  
ჩამოივლის ხოლმე  
ცხოვრება და შემომბახებს:  
„გამო, შემეთამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს... “  
„გამო, შემეთამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს... ”

\* \* \*

შენი აკაციის ეკლიან ღობეზე  
სიოს შემოეხა კაბა ყვავილების...  
(მორცხვი მიჯნურივით თვალებს  
ვაფახულებ).  
მერე ავდგები და მზერით დავიღდლები,  
სიკვდილის ნიშანია,  
ბადლივით მეშინია, ჩემო გაზაფხულო,  
სტვენით ჩაიარა შარაზე მარტმა,  
აშარი ქალივით მოიხმო აპრილი...  
დუმილის კლიტებს დიმილით მართმევ  
—თქვენ ლექსებს დამპირდით!  
დაგპირდით შარშან,

ჩემო ჯიოკონდა...  
(მას მერქ, ვაი, რომ იცვალენ დრონი)  
მაშინ დეკემბერსაც ვარდები მოჰქონდა,  
როცა ვწერეოდით დრუბლებზე  
რონინს...  
დღეს კი,

ჩემო კარგო,  
სიცოცხლეს მოვბეზრდი,  
მზერა რა ჩარაა,  
წერით დავიღდლები!  
შენი აკაციის ეკლიან ღობეზე  
სიოს შემოეხა კაბა ყვავილების...



\* \* \*

მოხდა ისე, რომ  
შენ უსამანო იასამნად გაყიდე სახლი,  
გაზაფხულმა წაგიყვანა შინ...  
თვალები შენი სხედან ჩემთან ახლოს,  
თვალები შენი სარკეები არიან ახლა

და მთვარე

მათში ქალწულივით თავს იკეპლუცებს...  
ოქროსფერი თმები აქვს მას,  
ოქროსფერი თმები გაქვს შენ!  
ორი ვაზი  
შემორჩით ოცნების ზღვარს,  
ჩემმა ლექსმა არაბივით იქორწინა  
თქვენზე თრივეზე,  
ლექსი ხომ სივრცეა,  
მე კი პოეტი ვარ  
...და უბედური ვარ, მე  
უნდა  
ავირჩიო!

## გაოთხე

წვიმს... წვიმა წვება დღეა მეოთხე,  
წვიმს მხოლოდ ჩემთვის,  
შენდა კი არა...  
(მდინარემ ბეჭზე შეიგდო მორი  
და ვიწროები ჩაიხრიალა).  
წვიმს... წვიმა წვება დღეა მეოთხე,  
წვიმს... არაფრით არ იციალა...  
ვიცი, ამ ავდარში იქ წასვლა  
გეძნელა,  
ყელზე მზის სხივების მძივები  
გება...  
თითებით დამჭკნარი გეჭირა ენძელა,  
მიცვლილი გაზაფხულის შეჭრილი თმებ  
სიკვდილთანც ისეთი ლამაზი იყავი,  
უცების;  
სიკვდილის მომინდა ქება  
ალ!  
ფრთამორიალევ,  
წვიმს...  
წვიმა მოცელილ ყანასავით წვება,  
ჩემთვის მხოლოდ,  
ჩემთვის მხოლოდ,  
შენდა კი არა...



## საქართველო, საქართველო...

სულელი  
სიო  
ნისლის სოველ დარაბებს  
აღებს,  
დგას დღე ნოტიო,  
დღე ტანთბილი,  
დღე რიბირაბო...  
და უსასრულოდ  
მინდა გევერო,  
ტალღის მკლავებზე მიწვენილო  
ჩემო ბებერო...  
პოეტის ცრემლი საწუხარი

მაგრამ  
მე ერთი  
ვით წავლალავ  
ურიცხვ არგოებს!  
ვერ მოგისწარი,  
შენთვის სული რომ შემებერა,  
მე რომ მოვედი,  
მიდიოდი,  
ჩემო ბებერო!

# ...გაჰქინა... გაფრინდა...

მასზე ამბობენ, ანგელოზს პგავხო. გოგონას ზღვასავით უკიდეგანო ცისფერი თვალები, მზით და მოწით | დაპურებული თვალუხისფერი თმა პქონდა. „ფრესკიდან არისო გადმოსული”, — იტყოდნენ და თვალს გააყოლებდნენ მისი გაზაფხულის მსუბუქ ნაბიჯებს. იგი სიცოცხლითა და ოცნებით სავსე მიაბიჯებდა ფერთა სიჭრელითა და სიმსუყით დამტკრეულ ქუჩებში.

მას მართლა ანგელოზივით სუფთა მზერა პქონდა, ის ფურცელივით სიფრიფანა იყო.

„და მაინც, რატომ ადარებენ სატრფოს ანგელოზე?! რატომ უმღერიან მის ჯადოსნურ თვალებს? — ჯერ ხომ არავის უნახავს ნამდვილი ქალღმერთი?! მის დასახატად კი მიწიერი ქალწულის სინატრიფეს, სილამაზეს ქარგავენ ფრესკებზე.”

გოგონა ქალღმერთს პგავდა. იგი შეუვარებული იყო, ოდონდ არ იცოდა ვისზე. მას სიყვარული უყვარდა... უნდოდა, ძალიან უნდოდა, მთელი სიმძაფრით შეუგრძნო სიყვარულის თვალუკებრილი ქარტების ქროლა!.. მის ოცნებას თაფლისფერი თვალები პქონდა... მას ნაზი სიძლიერე იზიდავდა... ხანდახან მიუკავდებოდა ბებერ როიალს და მერე მელოდიად იღვრებოდა სივრცეში მარტოხელა, დამაზი ქალის სევდა... კლავიშების შეხებით უახლოვდებოდა მას და ყოველი ახალი ნოტის აქდერჭბისას უფრო მკვეთრად ხედავდა საყვარელი ადამიანის თლილ ნაკვებს... სადმე რომ შეხვედროდა, აუცილებლად იცნობდა.

ვაჟი მხატვარი იყო. სად არ შეხვდებოდით მას ფუნჯითა და საღებავებით. ხატავდა ნაწილმარ ქუჩებს, გუბეში არეკლილ სახლებს, სევდ ტოტებზე მობუზულ ბეღურებს. უცებ, ფოთოლს შერჩენილი წვიმის წვეთი მოსწყდებოდა — „წკაპ!.. დაიძახებდა და რკალებში აატივტივებდა წყალში არეკლილ ქუჩებს, მხატვრის ტილოც აწკრიალდებოდა და ატირდებოდა ათას წვეთად წვიმა...”

მხატვარი მარტოხელა იყო და მის ოცნებაში წვიმდა... იგი ლამაზი იყო, მაგრამ სიყვარულს არ ექცება, რადგან დრმად იყო დარწმუნებული, რომ ვერ იპოვიდა. ისეთი ქალი, მას რომ უყვარდა — არ არსებოდა! მხოლოდ დამ-დამბით ოცნებობდა მასზე და ვოლინოს უკრავდა...



ერთხელ შთაგონება ეწვია. გადაწყვიტა, თვითონ შეექმნა თავისი ქალღმერთი და მარადისობა ეწუქებინა მისთვის. ათობით ფუნქმა და-არღვია პალიტრის ფერთა მყედროება... ზოგი ქალღმერთის სიფრიფანა ნაწნავებს ხატავდა, ზოგი ზღვასავით უკიდეგანო თვალებს, ზოგი მდგუმარე ბაგეს, ქერა თმები ეყარა

მხერებზე, თხელ კაბაში მშვენივრად იხატებოდა მისი სხეულის უზადო ნაკვები.

ქალი... ასაგით — ნორჩი; ხმით — ხავერდი; სულით — ზღვა; მრისხანებით — ელვა; კაბით — ცისარტყელა; სხეულით — მარმარილო; ფერით — ღვენით; სურნელით — გაზაფხული; გრძნობით — გარიფრავით...

იგი საოცრად ჰგავდა მხატვრის ოცნებას. ვაჟის ნამუშევარს „შედევრი” უწოდეს და ძვირად გაყიდეს.

სახლისკენ კმაყოფილი ბრუნდებოდა. მან თავისი ოცნება გამოსახა და... გაყიდა... ჰო, მერე რა? — გაყიდა, რათა კვლავ წარმოსახვაში ეოცნება მასზე...

ქალაქში არ წვიმდა. ნოემბრის ერთი წვეულებრივი დღე იდგა წითელ-ყვითელი ფოთლებითა და სევდის მომგვრელი დამწვარი ტოტების სუნით. ვაჟი თავადაც შემოღომას პგავდა. იგი ამაყად და ოდნავ სევდიანად მიაბიჯებდა.

მხატვარს ცისფეროვალება გოგონა აედევნა, მაგრამ მან ვერ შეამნია. ვაჟი ჩქარობდა... გოგონა ვერ ეწეოდა...

— შეჩერდი! — ემუდარებოდა უხმოდ.

— მოიხედვ! — ეხვეწებოდა იგი მიმავალს.

— შემომხედვ! — თრთოლვით ჩურჩულებდა იგი.

ვაჟი უკან არ იხედებოდა, ან რად მოიხედავდა, ის ხომ არავის ექებდა. ძალიან ჩქარობდა და თავის ქალღმერთზე ფიქრობდა, რომელსაც მარადიული მშვენება აჩუქა. არა, ისეთს ვერ შეხვდებოდა. თუნდაც მოეხედა, რომც დაენახა, საკუთარ თვალებს არ დაუჯერებდა და ოცნების მოლანდებად ჩათვლიდა. იგი ჩქარი ნაკიჯით მიღიღდა აღმართზე და კვლავ წვიმის ხატვა სურდა.

ვაჟი შემოღომა იყო. გოგონა გრძნობდა, რომ

„შევარდა შემოდგომა, თუმცა თავად გაზიაფხულს პგავ-  
და. ოდონდ ახლა მოესწორ საშინელი ზამთრის-  
თვის და გამოეგდიჯა საყვარელი ადამიანის სუ-  
ლი...“

გოგონა მირბოდა...  
— დამიცადეეს! — უკვე ტიროდა იგი  
— პეი, უგუნურო, მოიხედე! — დადადებდა სამყა-  
რო კველაფერთან ქრთად.  
— შემომხედვ, ეს მე ვარ! — ეძახდა გოგონა, რო-  
მელიც საოცრად პგავდა ქალღმერთს...

... ე რ თ ი.....  
... ო რ ი.....  
... ს ა მ ი.....

მხატვარი ქუჩის კუთხეს მიეფარა. გოგონა  
ვერ დაეწია...

სად ეჩქარებოდა? რად მირბოდა? — მაგრამ ის  
უბრალოდ მხატვარი იყო, სიყვარულის არ სჯერო-  
და და კვლავაც წვიმის ხატვა სურდა...

## მინდობა მათვა

...შემომაფიქრდა...

შთამომიბნელდა...

ოცნებამ ფრთები ისურვა და ვერ მოიხვეჭა...

რომ მცოდნოდა ხანი სიცოცხლისა, ფოთლების სუნთქვას გავითავისებდი...

რომ დამეხახა ელვა, ცასთან უფრო გავფაქიზდებოდი...

და სადღაც ვიდაც მოელის სიკვდილს!..

რომ შესძლებოდა...

რომ არსებოდა...

რომ ყოფილიყო და არც რომ იყო...

სადღაც ვიდაც ხომ მაინც მოელის სიკვდილს?!

და იქნებ ვიდაც, და იქნებ სადღაც, ან იქნებ აქაც, ვიდაც ხომ მღერის, ვიდაც ხომ ელის, ვიდაცას ხომ ვიდაც „უხარია?..“

...და გეძებ შენ...

მე გეძებ შენ...

წუთს რომ ერთი წამიდა დააკლდება გარდაცვალებამდე, მხოლოდ მაშინ გიპოვნი?!

მე რომ მზის სხივი ვიყო და სითბოს ვატარებდე, ხომ გათბებოდი?...

მაგრამ სადღაც ვიდაც ხომ ისევ გულმოკვლით მოელის სიკვდილს...

და მაინც, მთვარის ჭუჭრუტანიდან დაძახილს — ვიცი, გამიგებდი...

ვიდაცას ვიდაც უ ხ ა რ ი ა ! ! !

მე შემიძლია ვარდის ფურცლების ფანტელად თოვა...

მაგრამ რა, მე ეს ყოველი ხომ მხოლოდ მინდოდა მეთქვა...



## „Օ Տ Ե Յ“

გალობდა ჩემი სხეული...

მე გავიხადე სხეული ჩემი...

გალობდა ჩემი სხეული...

მე კვლავ ჩავიცვი სხეული ჩემი...


ისევ, ისევ წვიმს ჩემს სხეულში,

ისევ, ისევ თოვს ჩემს სხეულში,

და ისევ ვგრძნობ ტკიფილს ჩემში...

ნუთუ იმიტომ მთვლი ბავშვად, რომ ჩემი თვალები მუდამ სავსეა კითხვებით...  
თოვლი რა არის?

უაზროა ეს კითხვა, არა?!



თოვლი მთდის ახლა...

თოვლი, სივრცე, ფიფქი...  
თოვლი, სივრცე, სროლა,  
მზის მუცელზე წოლა...  
თოვლი, სივრცე, სროლა,  
მთვარის გულზე წოლა...

დაღუმდა ჩემი სხეული...  
სულმაც დაიწყო დუმილი...  
სულის დუმილს კვდომა მოჰყვა...  
მე მოვისროლე ჩემი სხეული და  
კიგრძენი მეორედ დაბადება..

ჩამოვჯექი სამყაროს ნაპირთან და ველოდი...

ვის ან რას?...

ან რისთვის?...

ერთხელ რომ შევხვდე?

სისულელეა...

უკვე მეორე გაზაფხული მეჩერჩელება... გესმის?!



## თანამდებო

ველერიძო გარსია ლორგა

\* \* \*

ქალბატონო მთვარევ!  
გთხოვს ფორთოხლის ხე,  
მომე შენი თეორი რკალი,  
მწვანე კაბას მოგცემ მუ.

ქალბატონო მთვარევ,  
დაქორწინდი ლამაზ ჩიტზე,  
ჩიტი გელის გამუდმებით,  
ვერცხლისფერი ოცნებებით.

\* \* \*

—მე ვიდებ ყვავილთა თაიგულს  
და მივემგზავრები შენგან!  
—კი, მაგრამ უჩემოდ გაძლებ?  
—წავალ სიყვარულის საძებრად,  
რომელსაც ვერ ვიდებ შენგან...

გუსტავო აღოლფო გეპვრი

\* \* \*

შეიძლება მოიღრუბლოს ცა სამუდამოდ,  
შეიძლება ერთ წამში დაშრეს ზღვა,  
შეიძლება დაიმსხვრეს დედამიწა  
კით სუსტი კრისტალი, ქვა...

ხდება ყოველივე! შეიძლება სიკვდილმა  
მომხვიოს სუდარა გლოვის,  
მაგრამ არასდროს ჩემში არ ჩაქრება  
შენი ხმა, შენი ხმა ტრფობის...

თარგმნა:  
ლელა სისაშრმა

კეთილ, ისინი ბრუნდებიან ნელი ნაბიჯების მოძრაობით,  
მწუხარება ხომ მათ სვლაშია და გაურკვეველ ყოფმანში.  
კეთილ, თითო-თითოდ ისინი ბრუნდებიან  
შიშით შეპყრობილნი, როგორც ძილბურანში,  
თითქოს თოვლი გაუბედავად ზუზუნებს ქარში.

ნადირობს დვთაება ვერცხლისფრად მოსილი,  
მფრინავი ხამლებით ამაყი ფრთოსანი,  
შიშით, ფრთაშესხმული მიაპობს სივრცეს,  
ისუნთქავს სუფთა ჰაერის ნაკვალევს.

#### პორტ ბაირონი

## უპინართა მზე!

მზევ უძინართა! ვარსკვლავო სევდის,  
შორეთს კიაფობს ეგ სხივი ცრემლის,  
წყვდიადს ანათებს, გაჟფანტა ბნელი,  
მე მას მავონებს მსგავსება შენი.

ბრწყინავს გარდასულ დღეთა ნათება,  
კაშკაშებს, როდი ათბობს უძლერი,  
სხივი დამისა დარდით აღვსილი  
შორეულია, თან როგორ ციფი!

თარგმნა:  
სალომე ციხისელია

#### ალექსანდრე კუშპიძი

## შე და თქვენ

„შენ” უნდა ეთქვა და „თქვენ” წამოსცდა,  
ვედარ შეცვალა მან წარმოთქმული  
და ბედნიერი ყველა ოცნება  
კვლავაც შეირხა მიჯნურის გულში.

დადუმებული ვდგევარ მე მის წინ,  
თვალს ვერ ვაშორებ, არ შემწევს ძალა  
და ვეუბნები; „რარიგ კარგი ხართ!..”  
თუმცა ვგულისხმობ: „რარიგ მიუვარხარ!..”

თარგმნა:  
ჯული ბორცვაძემი

## „ზაფხულის სურათი“

მე ზაფხულის ბოლო ვარდი ვიხილე მაშინ,  
 მეწამულისფრად ელგარებდა, საოცრად წითლად  
 და ავტკივილი და ფიქრების ასე ვთქვი ქარში;  
 ასე შორის ცხოვრებაში, იყო სიკლილოან;  
 ის გახვითქული ყვითელი დღე არც კი სუნთქავდა;  
 საღდაც პეპელას ნანავიდა ისმოდა თითქოს,  
 სიო უნაზეს – უფაქიზეს აკორდს უკრავდა;  
 მერე ამ ბგერებს მიჰყვებოდა შორეთში თვითონ.

თარგმნა:  
სოფო აბულავაშ

ჰაინრიხ ჰაინ.

\* \* \*

ნუ შემომფიცავ, მაკოცე მხოლოდ,  
 არ მჯერა ქალის ფიცის მორევის,  
 სიტყვაზე უფრო მეტად ტბილია  
 ის კოცნა, შენგან ნაამბორევი.  
 კოცნა თან დამაქვს, ამის მწამს მხოლოდ,  
 სიტყვებს კი ქარი გაჰფანტავს ბოლოს.

თარგმნა  
თეონა სამინაშვილაშ

ილზე აიხმებო

## გოგონები გემბაზე

იქ კიდევ სამი გოგონა იყო, რომლებიც გემის ფინსთან იდგნენ და გემბაზე მყოფ ერთადერთ მეზღვაურს დასცინოდნენ. ისინი ვაკე ნაპირიდან ამოვიდნენ გამზე და მეორე უფრო შემადლებული ნაპირისკენ გაემართნენ, რათა იქ ყავა დაელიათ და შემდეგ ისევ ვაკე ნაპირზე დაბრუნებულიყვნენ.

მეზღვაური პირველი შეხედვიდანვე აკვირდებოდა, თუ როგორ იცინოდნენ და ტუჩებზე ხელაფარებულები ერთმანეთს რადაცას გასძახოდნენ. მეზღვაურს გემის ხმაურის გამო არ ეხმოდა, რას ამბობდნენ ისინი, მაგრამ იმას კი ჰქონდა, რომ ეს საუბარი მას და მის გემს შეეხებოდა. როდესაც ვაჟი თავისი ადგილიდან ქვემოთ ჩამოცოცდა და ბილეთების შესამოწმებლად გოგონებს მოუხსლოვდა, მათმა მხიარულებამ იმატა. ამით მეზღვაურს ჰქვი უფრო გაუძლიერდა. ის გოგონებთან მივიდა და ბილეთები მოსთხოვა, სამწუხაროდ, გოგონებს ბილეთები უკე აღებული ჰქონდათ და ვაჟს სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ბილეთები შეემოწმებინა. ამ დროს გოგონებიდან ერთ-ერთმა ჰქონდა მას, ჰქონდა თუ არა სხვა სამუშაო ზამთარში. „არა!“ – უპასუხა ვაჟმა. გოგონებმა კი კვლავ სიცილი და იწყეს. მეზღვაურს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ქვედი დაკარგა და ემნელებოდა დანარჩენი ბი-

ლეთების შემოწმება. ის უკანვე აცოცდა კაპიტანთან. მაღლიდან უცემერდა მწვანე, მშვიდ ტბას, უცემერდა მკეთრ ზოლს, რომელსაც გემის ცხვირი ტოვებდა წყალზე. ოკეანის ხომალდსაც კი არ შეეძლო, უფრო ძლიერად გაეკვეთა ზღვა, მაგრამ დღეს ეს უკე აღარ ამშვიდებდა ვაჟს. უფრო და უფრო აღიზიანებდა მას კაპინის შესასვლელში გამოკიდული აბრა წარწერით – „ფრთხილად, თავი არ აარტყათ!“ და შავი კვამლი, გემის მილიდან რომ ხროლავდა, გემის კინომდე აღწევდა და მოფარფარებ დღოში ჭვარტლავდა, თითქოს ის ყოფილიყო ამაში დამნაშავე.

არა, ის ზამთარში სხვაგან არსად მუშაობდა, იმიტომ რომ გემი ზამთარშიც მიმოდიოდა. გოგონებმა კვლავ შეკითხვა დაუსვეს მას, როცა მათ მიუხსლოვდა. „ფოსტა დაგვაქვს!“ – უთხრა მათ ვაჟმა. ერთი წუთით თვალი მოჰკრა, რომ გოგონები მშვიდად საუბრობდნენ ერთმანეთში და ამან დაამშვიდა ცოტა ხნით, მაგრამ როცა გემი ნაპირს მოადგა და ბიჭმა დევდი ნაპირზე მარგილს ესროლა, გოგონებმა კვლავ სიცილი დაიწყეს და ვიდრე ვაჟი მათ უცემერდა, არ შეუწყვეტიათ. მიუხედავად იმისა, რომ მან დვედი ზუსტად ჩამოაცვა მარგილს.

ერთი საათის შემდეგ გოგონები კვლავ ამო-

კიფნებ გემზე, მაგრამ ამასობაში ცა მოქაფრულიყო  
და შეუა ტბაში რომ იყვნენ, ჰექა-ჭუხილიც დაიწყო.  
მეზღვაურმა კი ხელიდან არ გაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ გოგონებისთვის თავისი დირსებები  
ეჩვენებინა. ის საწვიმარში გამოწყობილი მოაჯირ-  
ხე აღმარცვალმა დაცოცავდა, უცრო ხშირაშირად, კიდრე  
ეს საჭირო იყო. ამასობაში მეტად გაძლიერდა წვი-  
მა, მეზღვაურს სკელ ფიცარხე ფეხი მოუცერდა და  
ტბაში გაიდაეჭვა. და ვინაიდან მას სხვა მეზღვაუ-  
რებთან ის საერთო ჰქონდა, რომ ცურვა არ იცოდა  
და ტბას ზღვასთან კი ის საერთო ჰქონდა, რომ

მასში დახრჩობა შეიძლებოდა, მეზღვაურიც დაიხრო.

ის წელიდან ამოათრიეს, ახლა კი განისაზღვრულია  
მშვიდად, როგორც ეს მის საფლავის ქაზე წერია.  
გოგონები კი კვლავ ამოდიან გემზე, კვლავ დგბიან  
კიზოზე და კვლავ იცინიან ტუჩებზე ხელაფარე-  
ბულნი. მაგრამ ვინც მათ შეხედავს, ყურადღება არ  
უნდა მიაქციოს, ისინი ხომ ყოველთვის ასეთები  
არიან.

თარგმნა

ج. ٨٩٠٦٠

## სა ღა თვალი

ბრმა იწვა შევიდად, გულზე ხელებდაწყვობილი, მომდიმარი სახით. იგი გაუცნობიერებელი ხიცილით იცინოდა, ნაბრძანები ჸქონდა, არ განძრეულიყო. ბრმას შევძლო ამომრავება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. უკვე სამი დღე იყო, რაც ასე თვალებდახუჭული იწვა. მიუხედავად სუსტი და გაქვავებული ხიცილისა, მისი სულიერი მდგომარეობა, მისჯილის მსგავსად, ელოდა შეწყალებას. დროდა დრო იგი ხიზმარში მყოფივით იწყებდა ბორგვას, ეს მაშინ, როცა ნათლად წარმოუდგებოდა ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა, იმ ცხოვრებისა, რომელიც მას საშუალებას მისცემდა, თვალი გაესწორებინა ნათელი ხილცისათვის და იდუმალებით აემოძრავებინა თავისი ქუთუთოები.

օմօս զաթը, Ռոմ პրոռցեսորո յշգրտեալլցիուն  
րածուուն հյուշացնէ, առ աշխարհա ոքյրաւուն վարմաթյ-  
ծուուն դասրուացնէ առ ուս, Ռոմ այցուացնած այելուց-  
ծուուն տալուն. Թեուուն մյատասեցն մանս արևոծ-  
ուուն օմօսա, Ռոմ յցուացնայր Ծրացնած առ մյուրա-  
ծուուն ալլցիուն. Տվարաց ամութուն յմժցուածնեցն մաս  
պրոռցեսորո յաջացնած օրինակնետ:

—იყავით მშვიდად, თქვენთვის ყველაფერი გაკე-  
თებულია, დანარჩენი განგზის წყბაა.

ამ მტანჯველი დაბატულობისა და ლოდინის  
დროს, ყველანაირი ფიქრებით გაროველს, მოეხმა დე-  
ზი გარანის ხმა, რომელიც მშვიდად მიუკასლოვდა  
მას. ეს იყო გოგონა, რომელიც ამ კლინიკაში მსახუ-  
რობდა. მძიმე წერტილში რაბიდი ხშირად სთხოვდა  
მას ჭუბლზე ხელის დადგბას და ახლაც სიამოვნე-  
ბით მოუღოვდა იმსას, თუ როდის მოგავრცელდა მსუბუ-  
ქად ეს პატარა მეგობრული ხელი გაუნდრევლიბისა-  
გან დამუნჯებულ მის თაგვს. ასევე მოხდა.

როდესაც ქალმა ხელი მოაშორა, ის, რომელიც  
თავის თაქს იმდენად დიდხანს უდრიმავდებოდა, რომ  
შეუცდომლად შეისწავლა საჯუოარი გულის მოძრა-  
ობა, კიდევ ერთხელ მიხვდა, რომ ბოლო დროს მის  
მთავარ შიშად იქცა საშიშროება იმისა, რომ ვერასო-  
დეს ნახავდა დეზის. ჯერ კიდევ მაშინ შეიგრძნო  
რაპიდმა მისი ხმის ტემპით დახატული ტანქერწე-  
რია ქმინილების სანუკვარი ხინაზე, როდესაც აյ მო-  
იყვანეს და გაიგონა ქალის შემართული ხმა. რო-

მელმაც განკარგულება გასცა, ადგილი მიეჩინათ მისთვის. ეს იყო თბილი, მხ,იარული და სულის-თვის ახლობელი, ახალგაზრდა, სიცოცხლის ბგერა, მუსიკით სავსე და ნათელი, როგორც თბილი დილა. როგორც ყველა ჩენი წარმოდგენა უჩინარზე, ამ ქალის სახეც ნათლად, თავისებურად გამოისახა მასზე. სამი კვირის განმავლობაში ლაპარაკობდა მხოლოდ ამ ქალთან, ემორჩილებოდა მის მსუბუქ და დაუინტენსულ ზრუნვას. რაბიდმა იცოდა, რომ მისი შეკვარება პირველ დღესვე შეძლო. ახლა გამოჯანმრთელება მხოლოდ ქალის გამო სურდა.

ის ფიქრობდა, რომ ქალი მას დრომა თანავრმნობით ეყვრობდა, რაც ხელსაყრელი იყო მომავლის-თვის. თავის თავს კი იმის უფლებას არ აძლევდა, რომ რაიმე კითხვები დატვირთვა, მათ გადაწყვეტას იმ დროისთვის აპირებდა, როცა ქალისთვის თვალის გასწორებას შეძლებდა-და არ იცოდა, რომ ის გოგონა, ვისი ხმაც მას ასეთ ბეჭინიერებას ანიჭებდა, მის გამოჯანმრთელებას შეიშოთა და სევდით ელოდა, რადგანაც ულამაზო იყო. ქალის გრძნობები მისდამი მარტოობის, მასზე გავლენისა და ზრუნვის შეგრძების გამო წარმოიშვა. ის ბრძა იყო და ქალსაც შეეძლო, წყნარად შეეხედა თავისი თავისთვის იმ თვალით, რა თვალითაც კაცმა წარმოსახა თავის შინაგან სამყაროში, რასაც რაბიდი არა სიტყვებით, არამედ მთელი თავისი დამოკიდებულებით ამჟღავნებდა და ქალმა იცოდა, რომ ვაჟს უკარიდა იგი.

ოპერაციამდე ისინი დიდხანს და ხშირად საუბრობდნენ. რაბიდი უყვებოდა მას თავის მოხევიალე ცხოვრებაზე, ქალი კველაფერზე, რაც იმ დროს ქვეჭნად ხდებოდა.

გოგონას საუბარი სავსე იყო იმ შესანიშნავი სინაზიო, რომელიც მის ხმას გააჩნდა. განშორებისას იხინი იგონებდნენ ამბებს, რომ ერთმანეთის-თვის კიდევ ეთქვათ რამე. ქალის უპანასკნელი სიტყვები იყო:

- ქართველი მდე, ნახვამდის!

— ნახვამდის! — პასუხობდა რაბიდი და ქვეწე-  
ბოდა, რომ სიტყვაში „ნახვამდის“ იმალებოდა იმედი.

კაცი იყო მეტად ახალგაზრდა, თამამი, შეიარაფ-  
ლი, მაღალი და შავომიანი. მას უნდა ჰქონოდა, თუ

საერთოდ ექნებოდა, ჯიქურად მომზირალი შავი ბრწყინვალე თვალები. ამ მხერის წარმოდგენისას დები შიშით შორდებოდა სარკეს. მისი დატანჯული, უსწორმასწორო სახე ნაზი სივარდისფრით იფარებოდა.

— რა იქნება? — ამბობდა იგი.

— და, დავ, დამთავრდეს ეს კარგი თვე. დროა, გავუხეხათ მას ციხე, პროფესორო რიბალდ, გთხოვთ!

## II

როდესაც დადგა გადამზჲვები საათი და სინათლე მიაშექს, რომელთან შებრძოლებაც რაბიდს პირველ დღეზე მოუქლურებელი მზერით შეეძლო, გარშემოერტყენებ პროფესორი, მისი დამხმარენი და კიდევ რამდენიმე წარმომადგენელი განათლებული სამყაროდან.

— დეზ! — თქვა მან, ფიქრობდა რა, რომ ის აქ იყო და იმედი პქონდა, რომ პირველი ჩახავდა მას, მაგრამ ქალი არ იმყოფებოდა აქ სწორედ იმიტომ, რომ ამ წუთში მან ვერ გამოხახა თავის თავში იმდენი ძალა, რომ ენახა და შეეგრძნო იმ ადამიანის დელვა, რომლის ბედი სახვევის მოხსნით წყდებოდა. მიუერადებული ხებება და ნაბიჯებს, ქალი მონუსტეულივით იდგა ოთახის შეაში. მძიმე წუთებში უნებური ძალდატანებით მოიცვა წარმოსახვამ ქალის გონება და თავი წარმოადგენინა სხვა სამყაროში, იმ სამყაროში, რომელშიც ახალ მზარას ესურვებოდა წარდგენა. ქალმა ამოსუნთქა და დაქორწილდა ბედს.

ამ პერიოდში სახვევი უკვე მოხსნილი იყო. გოგონას გაუჩინარებისა და გავლენის შეგრძნებისას რაბიდი იწვა მჭრელ და ნეტარ ეჭვებში. მისი პულსი დაეცა.

— საქმე გაკეთებულია, — თქვა პროფესორმა და დელვისაგან ხმა აუკანალდა, — გამოიხედეთ, გაახილეთ თვალები!

რაბიდმა ასწია ქუთუთო იმის ფიქრით, რომ დები იქ იმყოფებოდა და სცხვენოდა, ისევ დაეხახა მისთვის, მაგრამ მან ქალის მაგივრად თავის წინ ნაკეცებიანი ფარდა დაინახა.

— მოაშორეთ ნაჭერი, — თქვა მან, — ის მიშლის, — ესდა თქვა და გომოფეხისლები. მიხდა, რომ თითქოს პირდაპირ მის სახეზე დაკიდებული საფეხები სინამდვილეში აღმოჩნდა ოთახის ბოლოში დაკიდებული ფარდა, მისმა გულმა აღელებულდა დაიწყო ფეხქა. იგი ვერ ამჩნევდა თავისი სხეულის უზომო განმაცვიფრებელ ბდაგილს. მან დაიწყო წოლისგან დალეული სხეულის თვალიერება ისე, თითქოს წიგნს კითხულობდა. მისი აღფრთვანების სინათლეში საგანი საგანზე გადადიოდა და მან დაინახა ის კარიც, რომლითაც შემოდიოდა დეზი, მან იგი იმ წამსვე შეიყვარა. ნეტარი დიმილით აიღო მაგიდოდან ჭიქა და, მოუხედავად იმისა, რომ ხელი უკანკალებდა, ისევ თავის ადგილას დააბრუნა.

ადამიანი, რომელსაც სიცოცხლისთვის ბრძლის შესაძლებლისა მიუცა, ახლა მოუმტენდა ელოდა, თუ როდის წაგიდოდა ყველა ის, რომლებმაც მას მხედველისა და აუბრუნეს. მას სურდა დეზისთვის დაეხახა და ეთქვა ყველაფერი მნიშვნელოვანი, მაგრამ გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი, რომლის განმაცლობაში ექმები ხმადაბლა საუბრობდნენ და აღელ-

ებულად ზეიმობდნენ გამარჯვებას. ამ პერიოდში რაბიდს უხდებოდა ესაუბრა, თუ როგორ გრძნობდა თავს და როგორ ხედავდა. რაბიდი საშინელ დუღუშებისა და სხვადასხვა ფიქრის გაელვებისაგან ისე იყო გაბრუებული, რომ ვერც კი შეძლო იმ წუთების წვრილმანების გახსენება და ზუსტი დადგენა მისა, თუ როდის დარჩა იგი მარტო, მაგრამ ის წუთი დადგა. რაბიდმა დარეცა და უთხრა ექთანს, რომ სასწრაფოდ ელოდა თავისთან დები გარანს, თვოთონ კი ნეტარებით მიაპყრო მზერა კარს.

## III

გაიგო რა, რომ ოპერაციამ ბრწყინვალე ჩაიარა, დები დაბრუნდა თავის სისუფთავით და მარტომბით მსუნთქავ თოთაში. ცრემლიანი თვალებით მოიკრიბა უკანასკნელი მამაცობა, დაივიწყა ყველა შეხვედრა და ლამაზ საზაფეულო კაბაში გამოეწყო, თმა უბრალოდ აიწია, სწორედ ისე, როგორც ამ მუქ და ბრწყინვალე ნამიან თმას შეეფერებოდა. ოთახიდან განათებული სახითა და ბუნებრივივად აწევდი თავით გამოვიდა. მომდიმარი სახითა და მძიმე გულით მიუახლოვდა იმ კარს, რომლის მიღმა ყველაფერი ასე არახვეულებრივად გარდაიქმნა. ქალს ენენებოდა, რომ იქ იწვა არა რაბიდი, არამედ ვიღაც სხვა. ამ წუთში ქალს მთელი სისწრაფით გაახსენდა თავიანთი შეხვედრები, საუბრის ბოლო წუთების ბევრი წვრილმანი და შეიგრძნო, რომ რაბიდს იგი უყვარდა.

კარი მან ისე ნელა შეადო, თითქოს სურდა, ყველაფერი ძევლებურად დარჩენილიყო. რაბიდმა მას თვალების ენერგიული მოძრაობით დაუწყო ძებნა. ქალმა გაიარა მის წინ და გახერდა.

— ვინ ხართ? — დიმილით პერთხა რაბიდმა.

— თქვენთვის ახალი ადამიანი ვარ, ხომ მართალია? — თქვა ქალმა.

და თავისი ხმოვანებით მომქნეალურად დაუბრუნა კაცს ის დაფარული წარსული, რომელიც მათ აკავშირებდათ.

ქალმა მის შავ თვალებში დაინახა დაუფარავი, უზომო სიხარული და დარდი გაუქარწყლდა. სასწაული არ მომხდარა, მაგრამ მოული მისი შინაგანი სამყარო და უკანასკნელ წუთებში განცდილი მისი სიყვარული, შიში, ამარტავნება, ფიქრთა წუხილი და ყველა მდლვარება გამოიკვეთა გოგონას იმ ღიმილში, რომელიც მის ვარდისფერ სახეზე აირეკლა. ამ ღროს რაბიდს ქალი მთელი თავისი არსებით ყვავლების სამყაროში ამდერებული სიმის ხმად ეჩვენებოდა. ის იყო მშენიერი, სიყვარულის სამყაროში.

— ახლა, მხოლოდ ახლა-თქვა რაბიდმა-მიზებდი, რატომ გაქვთ თქვენ ასეთი ხმა, რომლის მოსმენა სიხმარეშიც კი მიყვარდა! თქვენ თუნდაც დაბრმავდეთ, მე მეყვარებით და ამით განგურენავთ. მაპატიეთ, მე ცოტა გიჟი ვარ, რადგან ხელახლა დავიბარებულაფრის თქმის ნება უნდა დამრთოთ.

ამ ღროს კი წყვდიადში დაბადებული, ზუსტი წარმოდგენა ქალზე იყო და დარჩა სწორედ ისეთი, როგორსაც თავად ქალი არ მოელოდა.

თარგმნა ირინა ხატიაშვილმა

თათია დგგშაბე  
ანა ფრიძე

## „თქვენ ხართ ნაყოფი ატობილ ხისა“

- ❖ მე ვარ სიცოცხლე, ოქვენ კი არ მექებთ,
- ❖ მე ვარ გზა, ოქვენ კი არ მომყვებით,
- ❖ მე ვარ ნათელი, ოქვენ კი ვერ მხედავთ,
- ❖ მე ვარ მოძღვარი, ოქვენ კი არ მისმენთ,
- ❖ მე ვარ ერთგული მეგობარი, ოქვენ კი არ გიყვარვართ,
- ❖ მე ვარ უფალი, ოქვენ კი არ მემორნილებით,
- ❖ მე ვარ ღმერთი ოქვენი, ოქვენ კი არ ლოცულობთ ჩემდამი  
და თუ თქვენ არ ხართ ბედნიერი, ნებ დამადანაშაულებთ მე!

როგორ უნდა ვიცხოვოთ ჩვენ – ადამიანებმა, რომ ვიყოთ სულიოთ ბედნიერნი, მშვიდნი და ნუგამცემულნი? მოგვეცეს „პური ჩვენი არსებისა“ და ადგილი სამუდამო სასულიერებელ ში? საითკენ არის გზა სამოთხისა და როგორ დავადგეთ მას? – ახალგაზრდებს დამოძღვრა გვჭირდება და გვაქვს კითხვები, რომელთა პასუხებიც აუცილებელია ჩვენი სულიერი ცხოვრების სწორად წარსამართავად. ამ კითხვებით მივადებით მოძღვარს და ვთხოვთ, მეტურობა გაუწია ჩვენთვის უფლისკან მიმავალ გზაზე.

გვეასუბრა ნაძალებების ივერიის დათისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამდღვარი – მამა ვახტანგი (ასათიანი).

– თუ შეიძლება განგვიმარტეთ, რა არის მდგდლობა?

„უნ ხარ მდგდელი უპრინსამდე წელსა მას ზედა მელქისედეკისას“.

პირველი უზენაესი სამდგდელოება თავად არის იქსო მაცხოვარი. იგი არის გამწირველიც და შემწირველიც. მდგდელი, რომელიც თან გაიღებს თავის



ხორცს და თან შეიწირავს – ეს არის უმაღლესი მდგდლობა. ზემოთ ნახსენები მელქისედეკი არის ჰეშმარიტი, ერთი დმერთის მადიდებელი, რომელიც მოღვაწეობდა აბრამის დროს. მაშინ, როცა გავრცელებული იყო პოლიტიკიზმი. ჰეშმარიტი დმერთის აღიარების ასუთი სახე ისტორიულად გვაქვს მელქისედეკისაგან. იგი თეოკრატიული პიროვნება იყო – მეფეც და მდგდულიც. მისტიკებიდ კი პირველი მდგდელი თავად იქსო მაცხოვარია. მის მიერ არის დაღგენილი სამდგდლოება. სულიერმნიდის მაღლით მოხდა მოციქულების განბრძნობა და მათი სამდგდლო ხარისხში დაყენება.

მდგდლობა შეიძლება ერთ-ერთი საიდუმლოა.

მდგდელი არის ხორციელი სახე იქსო ქრისტესი.

– რა არის აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ მდგდელი გახდება?

– მდგდლად გახდომისთვის აუცილებელია ადამიანის დიდი სურვილი, მაგრამ უპირველესი კი არის ის, რომ მდგდლობა დათისგან გამორჩეულობა, განსაკუთრებულობა. „ერისაგან აღვაძაღლო რჩეული ჩემი“, – ამბობს „უფალი, რომელიც მარტო ფიზიკურად კი არ გვიყერებს, არამედ აკვირდება ჩვენს სულს, მდგომარეობას. ხდება მისტიკი იერარქიის ხელდასმა და ამის მერე მდგდელი გამორჩეული პიროვნებაა ერისგან. იგი უმავრესად დათისმსახურია. ერისკაციისგან განსხვავებით, აქვთ უფლება, ადასრულოს შვიდი საიდუმლო. ჩაატაროს ლიტურგია.

– მდგდლობა შინაგანი მოწოდება? რა გვენად შეუძლია ნებისმიერ ადამიანს მდგდლად ეპუროთხოს?

– რა თქმა უნდა, მდგდელობა შინაგანი მოწოდებაა. შეიძლება ბევრს სურდეს, მაგრამ ვერ გახდეს მდგდელი, რადგან უმთავრესი დათისგან გამორჩეულობა.

– ვინ არის მოძღვარი? არის თუ არა „მოძღვარი“ და „მდგდელი“ ერთი და იგივე მცნება?

– მოძღვარი ადამიანის სულიერი მამაა. იგი ასწავლის სულიერ შვილებს გზას სულის ცხონებისაკენ. ჩვენ შეიძლება ვიცოდეთ ემპირიული მეცნიერება.

ბები და კოდვა ბევრი სხვა რამ, მაგრამ მოძღვრისგან დამთხვევა აუცილებელია. თუ ადამიანი არ მოინათლა, არ იცხოვდა მოძღვრის რჩევებით, ამის გარეშე სული არ ცხონდება. სწორედ ამ მიმართულების მიმცემი და სწორ გზაზე დამტკიცებელია მოძღვარი, რომელსაც „დფოსმასახეური“ იმიტომ ჰქონდა, რომ დათის სახელით აკოტებს ყველაფერს, მოძღვრება მასშია, ის კი დოცუოთ და ქადაგებით გადასცემს ამას სულიერ შვილებს.

ცნება „მღვდელი“ თავისთავად გულისხმობს „მოძღვარს“.

– როგორი უნდა იყოს ურთიერთობა მოძღვარსა და სულიერ შვილს შორის?

– სულიერ შვილსა და სულიერ მოძღვარს შორის უნდა იყოს დიდი სიყვარული და პატივისცმა, ისეთივე, როგორიც აქვთ ხორციელ მამასთან. ისინი ძალიან ახლოს უნდა იყვნენ სულიერად, არაფერი უნდა იყოს მათ შორის დაფარული, მაგრამ აუცილებელია ორივეს მხრივ ამაღლებული დამტკიცებულება.

მოძღვარი მუდამ შენი სულის ზრუნვაში და ურდაშია.

– შეიძლება თუ არა ადამიანმა გამოიცვალო მოძღვარი და თუ შეიძლება მასი შერჩევა? –

– რა თქმა უნდა, შეიძლება მოძღვრის შერჩევა ნებისმიერ დროს, რადგან მოძღვარი არ არის ქრისტიანული მოძღვარი. მოძღვარი მხოლოდ მიმართულებას აძლევს სულიერ შვილს ქრისტეს კენიაში. ადამიანი მოძღვართან სიახლოვეში უნდა იყოს, რათა უფრო დაუახლოვდეს ქრისტეს და თუ ეს არ ხერხდება დროის ან სივრცის გამო, რა თქმა უნდა, შეუძლია შეიცვალოს სულიერი მამა. მხოლოდ უნდა არსებობდეს ამის მიზეზი, რომელსაც აუხსნი მოძღვარს და ის მოგცემს ნებას ამისთვის.

– ახსოეს თუ არა მოძღვარს ყოველთვის უველა თავისი სულიერი შვილი?

– გულში ყოველთვის ახსოვს. შეიძლება არ ახსოვდეს ყოველ წელს და წასწ, არც არის ამის აუცილებლობა, მაგრამ როცა მოიძიებს თავის სულიერ ცხოვრებაში, მას არახდროს ავიწყდება ისინი.

– რამდენად ინტენსიურად უნდა ჩავაბაროთ აღსარება?

– ადამიანი სულ ცოდავს. მან შეიძლება დღუში ათ-ოცერაც კი მოინანიოს.

– მართლია, რომ აღსარებისას მოძღვარი იდებს ცოდვებს საკუთარ თავზე?

– მოძღვარი თავზე არ იღებს ცოდვას, აღსარებისას ის მხოლოდ თანაგიგრძნებს, გეხმარება, გასწავლის, თუ როგორ მოიქცე. შენ თუ ამ უველაფერს გულმოდგინებ გააცილებ, როგორც გვამლობს და გურნავს, რა თქმა უნდა, შედეგი გექნება და ცოდვები მოგეტვება. აღსარებისას კი თავად უვალი გინდობს. მთავრია, შენი ლოცვა და სინაცვლი უფალმა შეიწიოს და დათისგან მიიღო შენდობა. ამ პროცესს დრო სჭირდება.

– რამდენად სწორია სასჯელის მიცემა ცოდვის გამო და ამართლებს თუ არა იგი?

– ცოდვისთვის სასჯელი მიზანი არ არის, მაგრამ ყოველი ცოდვა მოითხოვს გამოსყიდვას, ისე როგორც მაღლი მოითხოვს დაჯილდოვებას, ამას თვითონ ჰქონდარიტება ხაზღვრავს. როცა ქრისტე არ იყო,

ცოდვაც არ გვქონდა, ხოლო ქრისტეს მოპრანების შემდეგ კი ცოდვა გამრავლდა, რადგან უცვე მოგვედა კანონი—ამასთან შეფარდებითი უველაფერი ჩეცნ ურ ველთვის ცოდვაგვა და გვჭირდება სისტემა, რომელიც მარადიული გრძნობაა.

– რამდენად მკაცრი შეიძლება იყოს ეს სასჯელი და რა შემთხვევაში იქრძალება ზიარება?

– გააჩნია, რა მიტივით ჩაიდინა ცოდვა და რა ხარისხისაა ეს ცოდვა. მაგალითად, მკაცრელი 20-25 წლი ვერ ეზიარება, მრუმობა კი 7-წლიანი უზიარებლობით ისჯება. შეიძლება მოკლას, მაგრამ არ ჰქონდეს სინაცვლი, მაგრამ ეს გარეგნულად, რადგან მას შეგნით მაინც აწებებს რაღაც. მოკლულის სული განისავენებს ღმერთში და მკაცრელში, სწორედ ის არ ასვენებს მას. შვილთავს, დასხერიალობს და ნანობს-ოლონდ ამას დრო სჭირდება. მაგალითად, კავნია რომ მოკლა აბელი, მას მერე იგი სულ ბორგავდა, დახუტი-აღობდა, განიცდიდა.

– დღეს არის ასეთი ტენდენცია, რომ თითქოს ეპლესიაში სიარული მოდაშია. თქვენ როგორ ფიქრობთ, ასეა? თუ მართლა სწორ გზას დაადგა ახალგაზრდობა?

– მოდა ყოველთვის შეფარდებითია, არასოდეს არ არის მყარი. კელესია და ადამიანის სული კი მარადიულია. ამიტომ ამის თქმა, რომ ეს მოდაა—არ შეიძლება. თუ მოიმატა სულიერების ხარისხმა, ეს მოდას არ შეიძლება მივაწეროთ. შეიძლება ზოგიერთის რწმენის ხარისხი ნაკლებია, მაგრამ ეს მისი შენაგანი სამყაროა, რომელსაც წვენ ვერ ვზომავო, ვისაც რწმენა არ აქვს, ის ვერ მოვა ტაძარში და ვერ იღოცებს: „უფალო იესო ქრისტე, შეგვეწი და გვაცხოვნენ წვენ!“

– რამდენად საჭიროა მოძღვრისთვის განათლება?

– განათლება აუცილებელია. თუკი მოძღვარი გქია, რა უნდა მისცე ადამიანს, თუ თვითოთ არ ხარ ნათელი? დათისგან იმიტომ მოგვეცა ნათელი, რომ სხვა გაანათლო. შენ გადასცემ მარადიულს, დათისგან ბოქებულ მადლს.

სულ უნდა ისწავლო, რომ მოძღვარი გერქვას.

– რამდენი წლიდან უნდა მივიყვანოთ ბავშვი მოძღვართან? რა სჯობს, პატარაობიდანვე შეგანავით ამას, თუ რომ წამოაზრდება, თვითონ გადაწყვიტოს?

– პატარას როგორც საჭმელი სჭირდება თავიდანვე, ასევე სჭირდება მადლი დათისა. ბაგში მეორმოცე დღეს უნდა მოგნათლოთ, შემდეგ უნდა ვაზიაროთ რეგულარულად. ასე შეეწვევა და დაადგება გზას სწორი ცხოვრებისაკენ.

– და ბოლოს, რას გირჩევთ ჩგნა-ახალგაზრდებს, იმისთვის, რომ სწორად ვიცხოვოთ?

– თქვენ გირჩევთ, როგორც თქვენი მამა-პაპა ცხოვრობდა, ისე იცხოვრეთ. რადგან ხეს ერთი ფეხი, ერთი გარე და ერთი ნაყოფი სხვა იყოს და ფეხები სხვა? შენ ხარ ნაყოფი, მერე შენი ნაყოფიც გაგრძელდება და ასე უნდა გაგრძელდეს მარადიულად, კოდრე აღსასრულობდე სოფლისა.

უნდა იყოთ ჰქონდარი მართმადიდებლები!


# როგორ მოვაწყოთ სამლოცვალო ჯათეა



მართლმადიდებელი ოჯახისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახლში სამლოცველო კუთხის არსებობას. ეს არის ადგილი, სადაც მოთავსებულია წმინდა ხატები, ნაკურთხი სანთლები, სეფისკერი, არტოხი, ნაკურთხი ზეთი, კანდელი, საქმეველი და სასულიერო წიგნები (ლოცვანი, ფსალმუნი, ახალი აღთქმა, ბიბლია...) ეს ყოველივე ოჯახს ბოროტებისგან იცავს. სწორედ აქ იკრიბებიან მლოცველი.

სამლოცველო კუთხე არ უნდა იყოს ცოლქმრის ოთახში, მაგრამ თუ კი სხვა გამოსავალი არ არის, საჭიროა ფარდა ხატების წინ, რომელიც მხოლოდ ლოცვების დროს მოისხება. წმინდა გამოსახულებებისათვის უნდა შევარჩიოთ სახლში საუკეთესო ადგილი, როგორც მათ ეკადრულია. უმჯობესია, ეს იყოს აღმოსავლეულის მხარეს, მაგრამ თუ კი ამის შესაძლებლობა არ არის, ხატები შეგვიძლია განვალაგოთ ჩრდილოეთ ან სამხრეთ კედლებზე.

სამლოცველო კუთხეში აუცილებელია ჯვრის არსებობა. მის ქვემით მარჯვენა მხარეს უნდა მოვათვსოთ მაცხოვრის ხატი, მარცხნივ—ღვთისმშობლისა. ეს აუცილებელი კანონია. მათ ქვემოთ ხატების განლაგების შემდეგი იურაქია უნდა დაგვიცვათ:



მე მინდა, რომ შენ ნათლად და მკაფიოდ წარმოიდგინო, თუ რისთვის ცხოვრობ ამჟამად და როგორ უნდა მოიცემოთ მომავალში

და ამიტომ:

მე მინდა, რომ ახალ ცხოვრებაში შესასვლელად (რამდენადაც ძველს უქვე აღარასოდეს დაუბრუნდები) განაგო იგი იმგვარად, რომ სინდისი არაფერზე გამხელდეს, რომ შენი წარსული ცოდვითი ნამოქმედარის გამო არ შეგრცევს არც ჩემი და არც საკუთარი თავის.

1. წმინდა იოანე ნათლისმცემლის;
2. წმინდა წინასწარმეტყველთა;
3. წმინდა პეტრესი, წმინდა პავლესი და ათონ-მეტო მოციქულთა;
4. წმინდა მღვდელმოავართა;
5. სხვა მოციქულთა და წმინდა მოწამეთა;
6. ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა და ღვდათა;
7. წმინდა უვერცხლო მგურნალთა;
8. წმინდა იოაკიმესი და ანასი.

საერთოდ, მართმადიდებელ ოჯახში აუცილებელია სამების, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატების ქონა. აგრეთვე სასურველია გვქონდეს ქართველთა განმანათლებლის—წმინდა ნინოს ხატი, ქართველი ერის დიდი მეოხის—წმინდა გიორგის და ოჯახის წევრთა მოსახელე წმინდანების ხატები,

მაგრამ უნდა გავახსოვდეს, რომ ხატის შეძენა არ არის საკმარისი სვენი სულისთვის, მთავარი ღრმა რწმენა და გულმხურვალე ლოცვაა.

თამარ ლოლიაშვილი

## მა ვალი შენგან გულორივალ პასუხს

მე მინდა, რომ დაითრგუნოს შენი საამაუე. მე მინდა, რომ შეიცნო ღროის ფასი. თავადაც იცი, როგორი მნელია, აინაზღაურო დაკარგული საათები, თვეები, წლები.

მე მინდა, რომ შენ თუნდაც ცხოვრების მიწურულში ხანდაზულმა შეიცნო, თუ როგორი მნელი და სამარცხინო, მიაპყრო მზერა საკუთარ თავს შეღამაზებისა და ქების გარეშე, თუ როგორ აუწერლად მძმეა ჩახედო საკუთარი წარსულის ყოველ კუთხე—გუნდულში, დაუწერლად გააკრიტიკო ყოველი შენი ცდომილება, სისაძალე, დაფარო სიბილწე, მხოლოდ უდიდესი სიძულვილის ღირსი.

და ამიტომ:

მე მინდა, რომ შენი ცხოვრების ყოველ წამს იყო საკუთარი თავის ერთგული, რომ რაც შეიძლება ხშირად ამოწმებდე საკუთარ აზრებს, სიტყვებსა და ნამოქმედარს.

მე მინდა, რომ შენ არ იარო გათელილი გზებითა და ბილიკებით, იყო ძლიერი, მამაცი, აღმსრულებელი, მედეგი განსაცდელებსა და ტანჯვაში.

მე მინდა, რომ შენი ცხოვრების უმძმეს წუთებში ამჟღავნებდე რკინისებურ სიმშვიდეს, მთელი სიცხადით გესმოდეს აზრი ამ განსაცდელებისა.

მე მინდა, რომ შენ ყველგან და ყოველთვის კმაყოფილი იყო იმითაც, რაც გაქს, ხოლო მცირედისთვის მმაღლობდე მე.



ერთობანეთს (შენ ხშირად გსურდა ერთი და აკეთებდი მეორეს).

მე მინდა, რომ შენ მომენტო როგორც ჩვილი, რადგან მხოლოდ მაშინ მიიღებ თუხდაც სულ მცირე ნაპერწყალს სილომონის სიბრძნისას.

მე მინდა, რომ შენს თვალებში (როგორც სულის სარკეში) ირეკლებოდეს ალუშვითობებელი ნათელი და სიწმინდე (იგი ახასიათებს მხოლოდ ძალზე კეთილ ადამიანებს), რათა შენი თვალები, ყოველთვის და ყველგან, ყურადღებით და ნერა გარდამავალი ერთი საგნიდან მეორეზე-ყველაფერს ხედავდეს, ყველაფერს ამჩნევდეს და ყველაფერს იკრებდეს. ეს იშვიათი ნიჭია და შენ მას უნდა გაუფრთხოდეს.

მე მინდა, რომ შენ იყო კეთილი ხასიათისა, რომ არასოდეს გრალატობდეს სამართლიანობა, რომ შენ ყოველთვის ისე იქცეოდე, როგორც საჭიროა, ანუ როგორც საკუთარი სინდისი გიყარნანახებს, რათა შენგან ისწავლით სხვებმა კეთილშემიღება, შორს მშევრეტელობა, განსვალიდისულოვნება, სიტყვისა და საქმის სიმწიფე.

მე მინდა, რომ შენ იყო გარშემომყოფადმი გულისხმიური, მათი უბრძურების და ტკივილების მტკირთველი.

მე მინდა, რომ შენ ყველთვის უფრო მეტს გასცემდე, ვიდრე ითხოვდე.

მე მინდა, რომ შენ ფლობდე შენს აზრებს, დააკვირდი, როგორია, როცა საქმე ზუსტად და მსუბუქად მიღის, აზრებიც ცოცხალი და თავისუფალია—ისინი სხარტად, გამჭვირვალედ და ელვისებურად მოდიან.

მე მინდა, რომ შენ განიმსჭვალო იმ ჰეშმარიტებით, რომ ძლეუმარებაზე კარგი და ძვირფასი არაფერია. ამიტომ ნუ გახარჯავ ამაოდ სიტყვის ძალას, შეინახე ივი აღმშენებლობისათვის, აღსარებისათვის. შენ უნდა იგრძნო პასუხისმგებლობა ყოველ შენს სიტყვაზე (უმტკესწილად ხომ შშირად ამისთვის იტანჯები მრავალი წელია).

მე მინდა, რომ სახე შენი ყოველთვის სიმშვიდითა და სიჯანსაღით სუნთქავდეს.

მე მინდა, რომ ამჟამად შენ უფრო მეტს ზრუნავდე შენს ჯანმრთელობაზე, რადგან იგი მე მჭირდება ზოგიერთი შენი საქმის აღსრულებისათვის.

და ამიტომ:

მე მინდა, რომ შენ არ უარყო მაცოცხლებელი და აღმდგენელი ძილი. ამიტომ ეცადე ყოველდღე თუნდაც 15-30 წუთი დაიძინო დღისით... და შენ შეამჩნევ, რომ მიღებ მარაგს მთელი დღის მხნებისას და სიცოცხლისას.

მე მინდა, შეიმეცნ, რომ ჩემი მუდმივი მოვალე ხარ, რომ უნდა იჩქარო და დააფიქსირო ქალადლზე შენი ჯერ კიდევ გამოიულეველი გამოცდილება შენგან არჩეულ, დაწყებულ და დაუმთავრებელ შორის.

მე მინდა, რომ შენ შენარჩუნო (რა თქმა უნდა, ჩემი ნების შესაბამისად) სიცოცხლის წყურვილი, გამოულეველი ენერგია, სიყვარული და მოშურნეობა საქმისადმი, მგზებარე მოქმედებისადმი, რათა აქტიურად შეიჭრა შენს გარემონცველ ცხოვრებაში.

მე მინდა, რომ შენი აზრები და საქმე არ შორდებოდეს

მე მინდა, რომ შენ ძლიერი ხასიათის აჭამიტყმა-უფრისულებელი არასოდეს გტოვებდეს სულის სიმტკიცე, შემსრულებლისა და უნარი. მთლიანად უძღვენი თავი შენი იმ საქმეს, რისოვისაც მოწოდებული ხარ. მეგვარი ადამიანი არასოდეს აკეთებს არაფერის ნახევრად, ეს მისი ხასიათის ძირითადი თვისებაა.

მე მინდა, რომ შენ ბედნიერება გეწიოს—მუდამ აკეთებდე დე შენს საყვარელ საქმეს.

მე მინდა, რომ მცირე გვიანი ბედნიერება (მაგ. მშვიდი ცხოვრება) გეწიოს შენ. რამდენადაც ყველაფერი ცუდი უკვე ჩავლილია, თუნდაც ხანძოვლე დროით, მაგრამ მაინც რჩება შენთვის წინ ყველაზე კარგი და ნათელი.

მე მინდა, რომ ამ გზით მავალმა შეიმეცნო საკუთარი თავი, ყველაზე მთავარი და ყველაზე არსებითი შენს ცხოვრებაში.

მე მინდა, რომ შენ განიმსჭვალო ყველა ამ ჩემი სურვილით და დაიბეჭდო ეს ფიზიური და სულიერი მოწესრიგბულობით, რომელიც გამოარჩევს ჩემს რჩეულო მოკვდავთაგან.

შენ მარტოსული ხარ, მაგრამ არ დაგავიწყდეს და გახსოვდეს, რომ მე შენთან ვარ.

არ არის ადვილი მარტოობის მწვავე სევდის განცდა, მაგრამ ეს აუცილებელია ყველა ამ ადამიანისათვის, რომელიც მგრძნობიარე და ფაქიზია სხვისი უბრძურებისადმი.

მე მინდა, რომ შენ გაამართლო ნდობა, რომელიც მე ჩაგისახე გულში.

მე მაქს უფლება, რომ ეს ყოველივე მოგთხოვო, რადგანაც ძალზე ბევრი მოგეცი და ამჟამადაც ბევრს გაძლიერ, რამდენჯერ მოვიწოდე გამოსწორებისა და სინაულისაკენ.

მე ველი შენგან გულწრფელ პასუხს, შენი სულისკვეთი გამითარს.

ახლა რაღა დაგრჩნია?

ესწრავე ღრმა სიჩემეს (როგორც იცის ჭის ფსკერზე), ან ტყის სიღრმეში, ან ღრმა საცავებში, ჩშირად ჩაიგეტე საკუთარი გულის უდაბნოში, მაგრამ არ მიეცე მოვლემარე სიჩუმეს.

გამოითხოვე პატივება ჩადენილი უკანონობისათვის. დაიტირე ჰეშმარიტების შეცნიბის საშუალებანი, რომელიც დაკარგე და ვერასოდეს გამოიყენე. დაიტირე ღრმ საკუთარი სულის სხნისათვის და მოვასის კეთილდღეობისათვის გამოსაყენებელი და სამუდამოდ დაკარგული.

დაუ, სინდისის ხმა და მარადი სირცხვილის გრძნობა თან გდევდეს საბოლოო სინაულამდე და ცხოვრების უკანასკნელ დღეებამდე.

დაუ, არ დაგშორდეს და მთელი ცხოვრება თან გდევდეს სირცხვილი იმისა, თუ როგორ შეხედავ, თუნდაც შორიდან, საიქო ცხოვრებაში მართალითა და ნეტართა წმინდა სახეებს, ამ ცხოვრებაში შენთვის ესოდენ ახლობელთ.

არძინებისპოროსი მანუელი  
(ჩემოშარისა და ჩშვაშეთისა)



გალაკტიონის ამონიუმის...  
გალაკტიონის ამონიუმის...

„ჩონგურზე უპრავს ქალი. მე გატაცებით ვუგდ-  
დებ მას უკრს. სოფელს სძინავს. ყოველივე დამის  
სიბრუნვეშია გახვეული. ამ ბეჭდს, მუდრო, ჩემ გა-  
რემოში უცდად ამიდის მოვარე და გააშექმნს ჩემს  
აივანს. ქართულ, რიკულების აივანს—და ქალს, მეხ-  
ლებზე ჩონგურით. მოვარის შექმნებისათ გა-  
არჩიოთ ეს ქალი. ეს — დედაჩემია.

— ა, გატუნია—მეუბნება იგი—კარგად დამიგდე უერი, შენ გაგიღონია, რომ ჩონგურიც კი მდეროდეს, ლაპარაკობდეს, იმეორებდეს პირდაპირ, სწორედ იმას, რასაც შენ ამბობ, რასაც შენ მდერი? აი, მაგალითად: ჩე-მი-ქმა-რი სად წავიდა?—დედა მდერის— ჩე-მი ძმა-ნი სად წავიდა? ჩამოჟრა სიმს; ერთს, მეორეს, ჩონგური ბგერა-ბგერათი იმეორებს იმასვე, რასაც მდერის დედა. სიტყვებში ისმის შეკითხვა, ჩონგურიც იმეორებს ამ შეკითხვას—სად წავიდა?—ისე ზედმიწვნით იმეორებს, რომ მე ჩემს სმენას არ უჯერი. „რა არის ეს? გადასარევია, დედა!—ვამობ, დედა კი განაგრძობს: და-უ-უ-ძა-ხეთ, სად წავიდა?—ხომ გაკვირვებული ძახილია? და ჩონგურიც თანაბარის ბგერით გადმოსცემს ამ ძახილს. ძახილის სიტყვები მეორდება, ჩონგურის ჭდერაც მეორდება და ეს მომენტი კიდევ უფრო აძლიერებს ჩემს გაოცებას. ჩონგური მდერის, ლაპარაკობს, იმეორებს პირდაპირ მას, რასაც დედა ამბობს, წარმოგიდგენიათ? „ჩემი ქმარი სად წავიდა, დაუძახეთ, სად წავიდა,,—იძახის ქალი, იძახის ჩონგურიც, მაგრამ ამაოდ არსად არ სჩანს ეს ქმარი და აი, გამძაფრებული შეტევა, წყევლა-კრელვა, ქოქოლა: „სად მის ქვეს კნელში, სად ჯანდაბაში წასულა, დედამიწაშიც წასულა, დარ მოსულა, პო-ო-ო-ო...“ უკანასკნელი სიტყ

ყვები ერთის ტონით ისმის, თითქოს რეზიტაციის. ეს ერთი ტონი ჰქმის ილუზიას, თითქოს ჩონგური კი არ ჟღერს, არამედ საუბრობს, ლაპარაკობს დრმა დრამატურმით აღსავს სიტყვებს და სიმღერაც თავ-დება ყველაფრის გადამწყვები წერტილით, დამამთავრებელი ხმით „ჰო-ო-ო-ო!“

დედაქემი გადადებს ჩონგურს... მე იხვევ ბურუს-ში რომ ვარ, დედა მარდად დგუმა და მესმის ახლა ჰროჭავათ!

— ბერ ას ქადა:  
 — აღმა აღმა უნდა ავდგეთ, საქონელი გადაღმა  
 გავიყენოთ, წისტკილზე კინგე უნდა გაფეზავოთ.  
 — რა გვეშველუბა, რა გვეშველუბა, სიმინდი მო-  
 სატეხია, ჩალა ასახეხია. დავიძინოთ, ჩემო გატუნა!

რა გვეძლეულია?  
მეც ვდგები, მაგრამ, ისევ მესმის თითქო:  
ნემი ქმარი სად წავიდა?  
დაუძახეთ, სად წავიდა!  
სად მოს ქვესკნელში წასულა,  
სად ჯანდაბაში წასულა,  
დედამიწაშიც წასულა... პოო!

ხონგური მღერის, ლაპარაკობს, ბერა-ბერით  
იმიღობს მას, რასაც ამღერის ადამიანი.”

1950 Vagmo

ხეტავი ეხლა რად არ ვარ ბაგშვი,  
ხემი ჭალების ვქროლი ამბავში  
ფაზისთა ზედა.  
გარშემო ტკეა და გუგუნია,  
„გამიცივდები, ო, გატუნია” —  
მექახის დედა...




„ოცნებების და სიზმრების დრო წავიდა! ადა-  
რაფერი არ გამახარებს, თვით ტკბილი ხინამდვი-  
ლებ კ! მშვენიერი ცხოვრება მე ოცნებებში განვი-  
ცადე... და რაც ოცნებებში განმიცდია მოული არ-  
სებით, სინამდვილეში მას ექნება რაიმე ფასი?“  
(წერილებიდან)

„მას შემდეგ, რაც შენ წადი, რაღაც საშინელმა  
სიცარიელებმ მოიცვა მთელი ჩემი არსება... სიცა-  
რიელებმ, რომლის განადგურებას, არ ვიცი, რანაირი  
მდგომარეობა შესძლებს და რა არის მისი წამალი?  
როდესაც შენ აქ იყავი, მე შემეძლო დამენახე შენ...  
ჩემთვის უბრალო შენს ახლოს ყოფნა საქმარისი

იყო, რომ შენს გარდა არაფერზე მეფიქრა. როდესაც  
მწარე ფიქრები, სევდიანი და სასოწარკვეთილი სუ-  
ლიერი განწყობილება შემი პყრობდა, მე მოვქროდი  
შენსკენ... მას შემდეგ, რაც შენ წადი...“

(წერილებიდან)

„ძალიან ძნელია უშენობა, გალ! ტკივილამდე  
ძნელია! ცრემლებს ძლივს ვიკავებ, თურმე როგორ  
უგონოდ მყვარებიხარ. ჩემო გალ, ძლიერ მინდა  
ჩაგეგონო, ისე ძლიერ, რომ... და კიდევ კარგად და-  
იხსოვმე – ოლდა შენი სიყვარულით არასოდეს და-  
იღლება!“

(საპასუხო წერილი ოლდა ოკუჯავასგან)



## კურსათა იური

### პაპის ნაბეჭდილან

აკაკიმ ერთ მეგობარ კაცს, ანდრია კა-ძეს, ფული ესესხა. კარგა ხნის შემდგე მეგობარს თვითონ დასჭირდა ფული და მისწერა აკაკის:

„საყვარელო აკაკი,  
წიგნსა გწერავ ახლა-კი,  
თუ ფულს არ გამომიგზავნი,  
წელშიაც მოვიკავი.”

აკაკიმ ლექსალვ მისწერა პასუხის:  
„საყვარელო ანდრია,  
ფულის თხოვნა აღრეა:  
დღემდის ჭავანი იყავ,  
დღეს რაღამ გადაგრია!”

\* \* \*

„აკაკი ხონში იყო. წამოსვლისას ეტლში ერთი ადგილი დაიქირავა, მეტლები ჩასვა პოეტი ეტლში და ჩვეულებისამებრ ბაზრის ირგვლივ ძახილით „ვის გინდათ, ვის გინდათ” — რამდენჯერმე შემოატარა. აკაკიმ გააჩერა მეტლები და უთხრა: „ვის გინდათ, ვის გინდათ” რომ იძახი, ხომ ხედავ, არავინ მყიდულობს, ისევ მე მითხარი, რამდენად ვარ შეფასებული, იქნებ შევძლო თავის გამოხსნაო.”

\* \* \*

„ერთი ლიტერატორი შეხვდა ნაავადმყოფარ აკაკის და უთხრა: შენი ამბავი იმიტომ არ ვიკითხეო, რომ არც მე და არც სხვა „ივერიის“, თანამშრომლებს არ დაგვიჯერებიათ.

— მე თქვენი სიმართლე და კარგად ყოფნა არასოდეს არ დამიჯერებია და თქვენც რომ ჩემი ცოტა ხნის ავადმყოფობა არ დაიჯერეთ, რა საბოლოო მო! — მიუგო აკაკიმ.”

\* \* \*

„ერთ დროს „ივერიის“, თანამშრომლები სულ ფსევდონიმებით აწერდნენ ხელს: „ფარნაოზი,” „ლალი,” „იაგუნდი” და სხვა.

ერთმა თანამშრომელმაც რომ დაიწყო წერა, ფსევდონიმად „ნალი” მიაწერა. აკაკი, რომელიც კარგის თვალით არ უყურებდა თანამშრომლებს, ძალიან გაახარა ამ ფსევდონიმა:

— მაში, ძლიერ მართლის წერა არ დაიწყეს, ამდენ ნახირს, რასაკირველია, ერთი ნალიც დასჭირდებორდო!

\* \* \*

„აკაკიმ სურამში სეირნობის დროს დაინახა ერთად მიმავალი ჩვენი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი და ცნობილი ქართველი ბიოგრაფი ი. მეუ-

ნარგია, მოყვარული დენერლებთან სიარულისა.

— კაცო—უთხრა აკაკიმ თავის მეზობელს, — ვერა ხედავ, გოგებაშვილს დენერლობა მიუდიათ?!

— როგორია?

— რა ვიცი, მეუნარგია კი მასთან დაიარება-და! ...”

### დანიშნული სპილენი

„გულივერის მოგზაურობის” ავტორი ერთხელ სასეირნოდ მიდიოდა. კალოშების ჩაცმისას შენიშნა, რომ ის ცედი გარეცხილი იყო და მოსამსახურეს უსაყველური.

— სულერთია, — უპასუხა მოსამსახურემ-გაივლით-გამოივლით და ისევ გაისვრება. სვიტრმა არაფერი უპასუხა.

იმავ სადამოს მოსამსახურემ სვიტრს საკუთხაოს გასაღები სთხოვა.

— რად გინდათ?

— საჭმელი უნდა გამოვიტანო, მშია!

— რა საჭიროა ახლა საჭმელი? სულერთია, გაივლით-გამოივლით და ისევ მოგზივდებათ! ირონიულად უპასუხა სვიტრმა.”

### ბალზაკი

ცნობილი ფრანგი მწერალი—ბალზაკი მეტად ამაჟობდა იმით, რომ მას შემდლო უბრალო ხელნაწერით ადამიანის ხასიათის გამოცნობა. ის დაბეჭითებით ამტკიცებდა, რომ დაწერილი ორი სტრიქონი უფრო მეტს იტყვის ადამიანზე, ვიღრე მისი სახე, რომელიც რატომდაც „სულის სარკედაა” მიჩნეული.

ერთმა მანდილოსანმა, რომელიც მწერლის თაყვანისმცემელი იყო, ერთხელ ბალზაკის მოწაფეობის რევულიდან ამოიდო დაწერილი ფურცელი და მიუტანა მწერალს დამწერის ხასიათის გამოსაცნობად.

ბალზაკი დააკვირდა ხელნაწერს და დაიწყო ამოცნობა;

— ეს დაწერილია 14-15 წლის ყმაწვილის მიერ, მაგრამ სანაბ ჩემს აზრს გამოვთქვამდე ამის დამწერის შესახებ, მე მინდა ვიცოდე—ეს ყმაწვილი თქვენი შვილი ან ნათესავი ხომ არ არის?

— მაში, რადგანაც ასევა, გეტული მართალს—უპასუხა

— მაში, რადგანაც ასევა, გეტული მართალს—უპასუხა მწერალმა—ეს ყმაწვილი ძალზე უნიჭოა, ზარმაცი და გამოუსწორებელი. საერთოდ, ცედი ეგზემპლაიარია. ის რომ ჩემი შვილი იყოს, გამოსასწორებელ სახლში მოვათვხებდიო.

მანდილოსანს სიცილი წასკდა და ბალზაკს გაუმხილა, რომ მას ეს ფურცელი მისივე მოწაფეობის დროინდელი რევულიდან ამოხია.

მწერალი ისე შეურაცხეოფილი დარჩა, რომ ამ მანდილოსანს მის სახლში შესვლა აუკრძალა.”



# სტუდენტი უკუმისევ

რა ადგილი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში მხატვრულ ღიოტერატურას?

**ლევან მაცაბერიძე**  
(ფილოლოგიის ფაკულტეტი)

„ჩემი ასრიო, მხატვრული ლიტერატურის დირექტორი ნიმუშები დირსეული მკითხველისთვის არის ცხოვრების დიდი ენციკლოპედია და ცხოვრების წიგნი. მაგალითად: გურამ ლოჩანაშვილის შემოქმედების გაზიარება და მისი შემოქმედების მიხედვთ ცხოვრება ჩამოყალიბებს ადამიანს, რომელიც იცოცხლებს და არა იცხოვრებს.“

**დათო გოგიშვილი**  
(გეოგრაფიის ფაკულტეტი)

„სამწევაროდ, არც ისე დიდი ადგილი უქირავს ჩემში ლიტერატურას, მაგრამ ფაქტია, რომ უნდა ჰქიორს. მე უფრო ვერობი; ზოგადად მომწონს ყაზბეგი.“

**ეგა ნაროვაშვილი**  
(სოციალურ და პოლიტიკურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტი)

„როცა ვკითხულობ, მექმნება შთაბეჭდილება, თითქოს სადღაც სხვაგან გადავიჭერი. ამა თუ იმ საუკენის მწერალთან შეხებისას მიჩნევება სურვილი, იმ დროში ვიცხოვოთ და ვიყო გმირი იმ წაწარმოებისა. გალაკტიონის კითხვისას ვხვდები, რომ იგი იდუმალებითა მოცული და მეც საოცრად მაფორიაქებს მისი აზრები... ისე, პოეზიას ვანიჭებ უპირატესობას, პროზაში კი მიუვარს აპაკი წერეთელი.“

**არჩილ დამენია**  
(ისტორიის ფაკულტეტი)

„დიდი ადგილი უქირავს ჩემში მხატვრულ დირექტურას. იგი ცხოვრებას გაახსავლის. ვკითხულობ კონსტანტინე გამასტურდიას, შექვენ ცვაიბ, ბრიუჯელს, ლოსტოუკეის, პოეზიაში ლადო ასათონს ვანიჭებ უპირატესობას.“

**ბასა**  
(დოპლომატიის ისტორიის ფაკულტეტი)

„ვკითხულობ მაშინ, როცა სახლში ვარ, როცა არ მინიჭებს და როცა საქმე არ მაქს, ანუ—არასდროს.“

**გიორგი ბზიშვილი**  
(დოპლომატიის ფაკულტეტი)

„საქმიან დიდი ადგილი უქირავს მხატვრულ დირექტურას. მე პოეზიით ვცხოვრობ. ერთი პერიოდი რაზი ამაღლობელთან, დათო მაღარაქესთან და სხვებთან ერთად ვაწყობდი ლიტერატურულ სადამოებს და ვიყვავი მათი წამყვანი. თანამედროვე პოეტებიდან მიუვარს გაგა ნახუცრიშვილი, რაზი, დათო—ისინი ეკელანი ჩემი მეგობრები არიან. მიყვარს რომანტიზმი, რადგან მე თვითონ რომანტიკოსი ვარ.“

ნათია თაგბერიძე  
(საერთაშორისო სამართლი)

„ლიტერატურას ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უქირავს. ძირითადად ქართულ ლიტერატურას ვკითხულობ. მიუვარს თოარ ჭილაძე, ხოდარ დუმბაძე, ყოველდღე მინდა რადაც წავიკითხო.“

**გიორგი ჩხეიძე**  
(ისტორიის ფაკულტეტი)

„ძირითადად მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობ, განსაკუთრებით აქტიურად მაშინ, როცა თავისუფალი ვარ. ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი და ის მუხტი, რომელიც მათგან მოდის, პირადად მე მექმარება ჩემი სამუცნიერო და პირადი ცხოვრების დირსეულად წარმართვაში“. „

## ჯურისა

„ჩემთვის ლიტერატურა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი პროზა. ვაღმერობებ გაღატიონს— „ჯერ არასდროს არ შებილა მთვარე ასე წყნარი“. ქართველს ქართული ლიტერატურა თუ არ უკარს, მაშინ ის რა ქართველია.“

## დათო დვალი

(ექონომიკის ფაკულტეტი)

„ძირითადად არ ვკითხულობ, უფრო ვისმენ. წიგნი ძალიან თხელი უნდა იყოს, რომ წავიკითხო.“

## თეონა მეჯია

(ფილოლოგიის ფაკულტეტი)

„იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ფილოლოგიურზე ვსწავლობ. უფრო ქართველ მწერლებს ვკითხულობ. როცა თავისეუფალი დრო მაქვს, ტელევიზორის ყურებას კითხვა მირჩვნია“. „

## თმუნა მომანაშვილი

(დიპლომატიის ისტორიის ფაკულტეტი)

„სკოლაში რომ ვსწავლობდი, მაშინ უფრო მეტ დროს ვკითმობდი კითხვას. ახლა ბევრი სამეცადო მაქვს და ვეღარ ვახერხებ, მხოლოდ თავისეუფალ დროს.“

## ვახე

(საერთაშორისო ურთიერთობები)


„ერთი ლიტერატურული ნაწარმოებიც არ მაქვს წაკითხული!“

## ამიკო ნასრაშვილი

(საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი)

„სერიოზული დაგილი უქირავს მხატვრულ ლიტერატურას. ბოლოს წავიკითხე დოსტოევსკის „იდიოტი“. წესით ადრე უნდა წამეგითხა, მაგრამ ეხლა უფრო გავიგე, იქ რაც წერია. შეიძლება რადაცაზე იფიქრო მოელი ცხოვრება და წიგნის წაკითხვისას კი ის „რადაც“ ამოხსნა ხუთიოდ წერში. წიგნში მოელი ცხოვრებაა ახსნილი“. „

გამოკითხვა ჩაატარეს  
ანა ზრუიძემ და  
ლიზი შალიგაშვილია



**თარაზულად:** 2. ჩახრუხაძის სახოფბო თხზულება. 9. ებრაელების წმინდა ტაძარი 5. ღვთაებრივი მხსნელი იუდეველთა და ქრისტიანთა რელიგიაში. 6. წელთაღარიცხვის დასაბამი, წელთაღრიცხვის სისტემა. 7. ებრაელთა და ქრისტიანთა საღმრთო წიგნების კრებული. 13. წერილი, ბარათი ძველად. 17. ავტორი რომანის „ალი და ნინო”. 18. სახელმწიფო სახელმწიფოში. 20. სამეფო საგვარეულო. 24. განუხორციელებელი ოცნება, იმედი. 26. ამა თუ იმ ქვეყნის პოეფია ერთობლიობა. 27. ორ-მარცვლიანი მუხლი ლექსთწყობაში, რომლის პირველი მარცვალი მოკლეა, მეორე კი გრძელი. 29. ვინძეს მიმართ ნაგი გრძნობის გამოხატვა. 30. ავგორი რომანისა „მაგრენის ტყავი”. 31. მსახიობის პირველი გამოსცვლა სცენაზე. 34. „ვეფხისტყაოსნის” მიხედვით რა ერქვა ნესტან-დარჯახის მამიდას? 35. სახელმწიფო ერთეული სიმბოლო. 36. დიდი წეველება, ლეინი, ქიფი. 38. ნაწარმოების ერთ-ერთი დიდი ნაწილი. 40. იაპონური ფელის ერთეული. 42. სმონ ჩიქოვანის ლექსი „მგბაურის ....”. 44. რისმე დედააზრი, რაობა. 47. „დონქოხოდის” მიხედვით, რა ერქვა სანჩი პანსას ცხენს? 49. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 50. განსაკუთრებული ნიჭი. 51. ნიგერიის დედაქალაქი.

**შვეულად:** 1. ამ უწყებას საქართველოში „პარლამენტი” ჰქვია, რას ეძახიან მას რესეტში? 2. გრიბოედოვის მკვლელობის აღილი. 3. ქალაქი რომი დაარსა .... 4. გათენება, გარიერაჟი. 7. დიდი საცეკვაო საღამო. 8. წმინდა ადგილი საბერძნეთში, საღამო მოღვაწეობდნენ ქველი ქართველი მთარგმნელები. 10. ხელისუფლებისადმი მიმართელი თხოვანა, ვეღრება, რაიმე წყალობის მსახელებად, ქველ საქართველოში. 11. მაწისა და მაწისქვეშეთის, ქვექნელის ქალდმერთა ბერძნულ მითოლოგიაში. 12. ეტლის ერთდროული სკოლა ჭადრაკში. 14. ვინძეს მიმართ ნაგი გრძნობის გამოხატვა. 15. მზის ღმერთი ეგვაპტურ მითოლოგიაში. 16. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედმეტსახელი. 19. .... გაბჯევი. 21. თხა, რომელიც კრეგას მიატე გვეს ძუძუს აწოვებდა. 22. ილია ჭავჭავაძის შეუძლის სახელი. 23. ვის ექვივინის საქორწინო მარში? 25. რელიგიური მსახურება დვოისადმი. 26. თხრობითი, გაულექსავი ღიგერატურა. 28. რა პროექტისაა რაგი ამაღლობელის მამა? 32. 1877 წელს ილია ჭავჭავაძემ დაარს ყოველკვირეული გამეოთა, რა ერქვა ამ გამეოთს? 33. პირველი მსოფლიო წევმიონი ფეხბურთიში. 37. ავგორი რომანისა „კარმენი”. 39. ურანგი კომპოზიტორი, ბალეტ „აიზიელის” ავტორი. 40. ფარული, ოდნავ შესამჩნევი დაცინვა. 41. უეპარი ცვლილება, მოუღონელი გართულება ვინძეს ცხოვრებაში ან მდგომარეობაში. 43. პირველი კანონთა კრებულის ავტორი. 46. ამაღლებული ადგილი ორაფორთავის. 48. სრული უწესრიგობა, არეულობა, ქათხი.

**შეადგინეს:** მაკა ელიბაშვილმა, ანა ფრუიძეგმა



### ფოტოები ლევან მახარაძის

დაიბადა 1980 წელს თბილისში. დაამთავრა 170-ე საშუალო სკოლა. ამის შემდეგ ჩააბარა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ტელე-ვიდეო-რეჟისურის განხსრით, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, კინო-საოპერატორო ფაკულტეტზე. ბავშვობიდან გატაცებულია ფოტოგრაფიით, იგი ამჟამადაც აგრძელებს ამ სფეროში მოღვაწეობას.

#### სარედაქციო ქოლეგია:

თათია დგებუაძე, თამარ გეგეშიძე, თამარ ლოლიაშვილი,  
მაკა ელიბაშვილი, ანი ფრუიძე, ლელა სისაური, ლიზი შალიბაშვილი

#### სელმძგანელები:

გახაბერ ჭეიშვილი, გია ალიბეგაშვილი

მხატვარი  
თამარ ნიაური

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ზაზა მიქაძე



გამომცემლობა „უნივერსალი“  
0128, თბილისი, საქართველო  
ილია ჭავჭავაძის გმზ., 1  
(+995 32) 290960

F2002  
06.03.69  
2008

n 175/46

